ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 20 (1355)

18-24 ივნისი, 1993 წ.

## გადადგომა ადვილია, ძნელი ფეხზე დადგომაა

ამ დღეებში პირდაპირ ფარზე იქნა ატანილი მოთხოვნა შევარდნაძის გადადგომის შესახებ. უფრო სამწუხარო ის არის, რომ მთავრობის უმაღლესი ეშელონებიდანაც გამოჟონა ჭორმა იმის შესახებ, თითქოს სახელმწიფოს მეთაური აპირებს გადადგომას.

ამასთან დაკავშირებით, პირდაპირ უნდა განვაცხადოთ. როცა ქვეყანა პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისშია, როცა ომი დაუმთავრებელი და ჯერაც მოუგებელია, გადადგომაზე ფიქრი ნიშნავს ერის ღალატს.

ჯერ გამოიყვანეთ, ბატონებო, სამშობლო კრიზისიდან, რომელშიც თქვენი მმართველობის პერიოდში აღმოჩნდა და თუ ხელისუფლება მოგძულდათ, შემდეგ გადადექით...

არის სიტუაციები, როდესაც გადადგომა გაქცევას, ანუ დეზერტირობას ნიშნავს. დღეს ასეთი სიტუაციაა საქართველოში.

ხოლო თუ სახელმწიფოს მეთაურს სახელმწიფოს მართვა აღარ შეუძლია, ამის განცხადება მას პასუხისმგებლობას ვერ მოხსნის, რადგან ეს ტვირთი მან ნებაყოფლობით იტვირთა.

ასე რომ, მის წინაშე ორი გზა ისახება, ან გამარჯვების, ან დამარცხების, ან გმირობის, ან ღალატის.

საქართველო დღეს ომშია. ომში კი მთავარსარდლები თავის კარიერას გადადგომით არ ასრულებენ. მათ ან ხვრეტენ წარუმატებლობისათვის, ან გმირის ორდენით აჯილდოვებენ წარმატებებისათვის.

მახსოვს, ერთხელ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეხვედრის დროს ზვიად გამსახურდიას ჰკითხეს — თუ ქართველი ერი მოგთხოვთ „ესენგე"-ში შესვლას, რას იზამთო?

პრეზიდენტმა უპასუხა — ასეთ შემთხვევაში მე გადავდგებიო და ამ განცხადებას მსმენელთა მხრიდან ოვაციები მოჰყვა.

არადა, ეს არ იყო სწორი პასუხი.

ქართველ ერს თუ იქამდე მიიყვანს წინამძღოლი, რომ ერი იძულებული გახდება მონობის ახალ ყულფში გაჰყოს თავი, მეთაურისათვის ასეთ შემთხვევაში გადადგომა ბაირამობაა...

იგივე ითქმის დღესაც.

იმედია, ბატონი ედუარდ შევარდნაძე არც მოწინააღმდეგეთა შიშით და არც მოსალოდნელი სიძნელეების გათვალისწინებით არ გადადგამს იმ ნაბიჯს, რასაც სავალალო შედეგები შეიძლება მოჰყვეს.

გადადგომა გონივრული ნაბიჯი იქნებოდა თავის დროზე პრეზიდენტისაგან. რადგან თავიდან აიცილებდა სისხლისღვრას და ეს ნაბიჯი მის რეიტინგს ასწევდა კიდეც. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელი იყო, იგი უმტკივნეულოდ დაბრუნებოდა თავის პოსტსაც.

მაგრამ გადადგომა დღეს არასწორი ნაბიჯი იქნება შევარდნაძისაგან, რადგან ეს აქტიც ახალ სამოქალაქო სისხლისღვრის გამომწვევად შეიძლება იქცეს, რადგან დღეს ომია. ომი ხელისუფლებისათვის და ომი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის.

ვიმეორებთ, გადადგომა ადვილია, ძნელი ფეხზე დადგომაა, ხოლო ვინც ქვეყანას ფეხზე ვერ დააყენებს, კი არ უნდა გადადგეს, პასუხი უნდა აგოს.

ნ. თორელი




## ჩუტლუ-ბუღას შთამომავალნი შევარდნაძის შესახებ

Არავის ისე ღვარძლიანად არ ლანძღავენ ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პრესაში, როგორც საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს. ოსს თუ ყველაფერი ისე არ შეუსრულე, როგორც თვითონ ნებავს, ზედაც რომ გადაყვე ამაგს მაინც წყალში გადაგიყრის. ალბათ ამ მიზეზით ლანძღავენ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს, თორემ სხვაფრივ სასაყვედურო არ აქვთ ამ ხალხს, რომელთაც რესპუბლიკის ხელმძღვანელობის უნიათო, დამთმობლური პოლიტიკის წყალობით სახელმწიფო იქ შეიქმნეს, სადაც ორი აგური არ დაუდიათ ერთმანეთზე. ოსური რესპუბლიკა კონსტიტუციით, მთავრობით, ჯარით გასული წლის დაგომისის კაპიტულანტური ხელშეკრულების პირდაპირი შედეგია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სახელმწიფო არ არსებობს, (დე იურე) მაგრამ მისი ჯარი არსებობს და ისიც სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ოსური ჯარი, საქართველოს მიწაზე, რომელმაც დაგომისის შემდეგ 80-ზე მეტი ქართველი ეროვნების ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

უმადურობის კლასიკური ნიმუშია ოსური ნაციონალ-სეპარატიზმის ლიდერის, დღევანდელი ხელისუფლებისაგან დიდად პატივნაცემი კაცის, ბა

დასასრული მე-2 გვ.



# ხუტლუ-ბუღას შთამომავალნი შევარდნაძის შესახებ

დასასრული

ტონი ჯაბა იოსელიანის პირადი მეგობრის (ასე ამბობს თვითონ) თორეზ კულუმბეგოვის სიტყვები. ასოციაცია „დიდი კავკასიური სახლის" პრეზიდენტის ჟანა ჩოჩიევის (თბილისელი ოსია) კითხვებზე თუ როგორ უყურებს იგი საქართველოში შევარდნაძის ხელისუფლების რესტავრაციას, ოსთა ლიდერი პასუხობს: „მიმაჩნია ეს დიდ ტრაგედიად არა მარტო სამხრეთ ოსეთის, აფხაზეთის, სამეგრელოსა და საქართველოსათვის, მთელი კავკასიისთვისაც. შევარდნაძის და მისი დამქაშების წინააღმდეგ 15 წლიანი ომის მანძილზე სამხრეთ ოსეთში მე კარგად შევისწავლე ეს ადამიანი და არ ვიზიარებ იმათ ოპტიმიზმს ვისაც იგი მსოფლიოში ცნობილ დემოკრატად და მშვიდობისმოყვარედ მიაჩნია. მან ჩემს ყველაზე უფრო ცუდ მოლოდინს გადააჭარბა".

* აი, ასე, სამეგრელო, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ცალ-ცალკე...

„ოსური სახელმწიფოს" მეთაურის ეს გამონათქვამები ჯერის ნანაა იმ ეპითეტებთან შედარებით, რასაც უფრო წვრილფეხა სეპარატისტები ხმარობენ შევარდნაძესთან კონტექსტში — ფაშისტი, სისხლისმსმელი, ვერაგი მელა, ნაცისტი და სხვა. უკანასკნელ ხანებში მეტად პოპულარული გახდა შევარდნაძე-გამსახურდიას ერთად ხსენება და ერთმანეთისათვის შედარება — „ზვიადიზმი არ არის ქართული ნაციონალიზმის უარესი ფორმა, მის შემცვლელად მოგვევლინა უფრო „ცივილიზებული", უფრო ცინიკური მკაცრი, დაუნდობელ ცნობილი „დემოკრატის" შევარდნაძის ხელმძღვანელობით".

ქართველი ნაციონალისტები ლანძღავენ შევარდნაძეს იმის გამო, რომ ზედმეტად ინტერნაციონალურია, ოსი ნაციონალისტები იმის გამო, რომ ნაკლებად ინტერნაციონალური-ჭეშმარიტად მძიმეა მონომახის ქუდი და კიდევ უფრო მძიმეა ლახვრის ნიაღვარი ორი მხრიდან. ყველას გულის მოგება არ ეგების, მაგრამ ერთი მხრიდან გალიცხვის თავიდან აცილება არ უნდა იყოს გადაუჭრელი პრობლემა...

ოსები ქართულ მიწაზე საკუთარ ისტორიას ქმნიან, რაც უახლოეს ხანებში ძმრად ამოუვათ ჩვენს შვილებს, ისე როგორც ჩვენ მოგვჭრა კბილი 20-იან წლებში ჩვენი მამაპაპის ნაჭამმა ტყემალმა. ჩვენს მიწაზე დე ფაქტოდ არსებულ ადმინისტრაციულ წარმონაქმნს უკვე მიაჩვია ყური და გონება მსოფლიომ. ოსებმა უკვე შესძლეს პრობლემის ინტერნაციონალიზაცია. სექტემბერში გაეროში გაუწევრიანებელი ხალხების საერთაშორისო ორგანიზაციის წევრები გახდებიან, თუმცა ახლა ამასაც არ სჯერდებიან და უშუალოდ გაეროს წევრობა მოინდომეს. ამ კანონშემოქმედებითი და იდეოლოგიური მუშაობით ოსთა ლიდერებმა შესძლეს ისე მოეწამლათ თავიანთი ხალხი, რომ მათი აბსოლუტური უმრავლესობა უკომპრომისოდ ქართველთმოძულე გახდა. თუმცა რა ლა ოსები, იქ დარჩენილ ქართველებსაც დაეტყოთ აგზნიანობა (ინტერნაციონალური ოჯახის წარმომადგენლები არც ადრე გამოირჩეოდნენ სუ- ლით ქართველობით) ეს უკანასკნელნი ავრცელებენ ხმებს თითქოს ცხინვალიდან ოსთა მიერ ქართველთა განდევნა კი არ მოხდა, არამედ ისინი ორგანიზებულად გაიყვანა საქართველოს ხელისუფლებამ, რათა მერე იქ დარჩენილი ოსებისათვის საჰაერო თავდასხმა ან რაღაც ამგვარი მოეწყო. რამდენად საზიანოა ამ აბსურდული ვერსიის მტკიცება საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტისათვის, თანაც თვითონ ქართველთა მიერ, მკითხველმა განსაჯოს. ასეთი იდეოლოგიური წნეხის ქვეშ მოხვედრილი ოსები ვერასოდეს შესძლებენ მიიღონ ის პირობები, რასაც მათ საქართველოს სახელმწიფო წაუყენებს. რჩება ორი ვარიანტი: ან დაუმთავრებელი ომი რუსეთთან საქართველოსათვის ამ სტრატეგიულად უმნიშვნელოვანეს კუთხეში, ან პრობლემის მოკლე დროში სამხედრო გზით გადაწყვეტა. ერთსაც და მეორესაც „დემოკრატიული რუსეთი" ჩვენს საზიანოდ გამოიყენებს და რაც დრო გადის ეს ზიანი უფრო დიდი იქნება. ამ იდეოლოგიური დაწოლის ერთ ნიმუშს თუ გავაცნობიერებთ გასაგები გახდება თუ ვისთან გვექნება საქმე. ოსი „პოეტი და პუბლიცისტი" ხაჯი-უმარ ალბორთი, ვის ქართველთ მოძულეობასთან ფერმკრთალდება თვითონ ნაფი ჯუსოითის ფიგურაც კი, ამბობს: „ჩვენმა მამებმა და შვილებმა გულუბრყვილობის გამო დაივიწყეს პირველი გენოციდის მწარე სინამდვილე და რომ არ გავხდეთ აგრესიის ობიექტი მესამედ, ჩვენ ვალდებულნი ვართ, მოვლენებს თავისი სახელი დავარქვათ, ვიყოთ ნაკლებად ლოიალურნი ოსეთის მეზობლებისადმი".

„ერთ-ერთ სატელევიზიო გამოსვლაში, რომელიც მთლიანად ჟურნალისტებს მიუძღვნა, სახელმწიფოს მეთაურმა აღნიშნა რომ საკმარისი არ არის მარტო კრიტიკა, საჭიროა პრობლემის გადაჭრის გზებიც დავსახოთ. თუ ეს მოთხოვნა კვლავ ძალაში რჩება, თავს უფლებას მივცემ გავაკეთო ზემოთმოყვანილი სიტუაციის პერიფრაზი — ჩვენ უნდა ვიყოთ ნაკლებად ლოიალურნი" საქართველოში მცხოვრები ყველა იმ ერების მიმართ, ვისაც არ სურს ძლიერი, განუყოფელი, ერთიანი საქართველოს სახელმწიფო და განსაკუთრებით ოსების მიმართ, რადგან. ხუტლუ-ბუღადან მოყოლებული ამ ხალხს სწორად მაშინ ჩაურტყამს ზურგში ხანჯალი ქართველისათვის, როცა ის უფრო დიდ მტერთან ბრძოლით იყო დაკავებული. ოსთა თავხედობა იქამდე მივიდა, ყოფილი ოლქის ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველებს, ცხინვალის რაიონში ქურთის, ხოლო ქსნის ხეობაში ლენინგორის ადმინისტრაციულ-ავტონომიურ ოკრუგებს სთავაზობენ. მათ ადმინისტრაციულ დაყოფის გეგმაში სიტყვაც არ არის ნათქვამი ცხინვალელ ქართველებზე, ისინი შეურიგებლად მიაჩნიათ, ხოლო მათ მიერ შეთითხნილ კონსტიტუციაში, რომელიც წვეთი წყალივით ჰგავს 1977 წლის წითელ იმპერიის კონსტიტუციას, ყველაფერი ისეა, როგორც მაშინდელ მესვეურებს უნდოდათ, მაგრამ 1978 წლის 14 აპრილს არ მისცეს საშუალება.

ერისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაიჭრას. სხვანაირად ქვეყანას სისხლმდინარე ჭრილობები არ მოაკლდება, ჩვენს დიდ მეზობლებს კი მიზეზი ჩვენს ბოსტანში ერთი შინაური ცხოველივით ქექვისა.

მერაბ მაისურაძე

კვლავ ღრმა კრიზისმა მოიცვა ჩვენი ქვეყანა, რის დასტურიცაა სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების 12 ივნისის შეხვედრა, სადაც გაიელვა მოსალოდნელი დიდი მანიფესტაციის ჩატარების იდეამ, სახელმწიფოს მეთაურის გადაყენების მოთხოვნით.

უმიზეზოდ, მოგეხსენებათ, არაფერი ხდება. ეს შეხვედრაც ბუნებრივ რეაქციად გვესახება იმისა, რაც ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში ხდება და ნებს უკვალოდ არ ჩაუვლია ამ ტრაგედიამ ქართველი ხალხის კონსოლიდაცია მოახდინა და კიდევ ერთხელ ცხადჰყო დაგვანახა ძველებურად ცხოვრების გაგრძელების შეუძლებლობა. სხვა საქმეა, რომ შემდგომში ეს უდავო მონაპოვარი შესაფერისად ვერ იქნა გამოყენებული.

ყველაფერი ეს გვაძლევს კი იმ რადიკალური მოთხოვნის უფლებას, რაზედაც ითქვა წერილის დასაწყისში? ვფიქრობთ, არა და აი რატომ: სრულიად სამართლიანიც რომ იყოს ეს

# აიტანს კი საქართველო ამდენს?

რაც საზოგადოების თვალში გარკვეულწილად გაამართლებს კიდეც ამგვარ შეხვედრებსა და აქ დაყენებულ მოთხოვნებს. სხვა ფაქტორებთან ერთად (ღრმა ეკონომიკური კრიზისი, გაჭიანურებული ომი, მაფიოზური ელემენტების გააქტიურება, კრიმინოგენური სიტუაციის გამწვავება...) მხედველობაში გვაქვს ძველი კომუნისტ-ფუნქციონერების მომრავლება ხელისუფლებაში და ყველა დროის მსახურ იდეოლოგთა წინა პლანზე გამოსვლა.

შემთხვევითი არც ის უნდა იყოს, რომ საკმაოდ ღიად დაიწყო ეროვნული მოძრაობის დისკრედიტაცია. მათ თავკაცებს კი, თითქმის უკლებლივ ყველას ანათემას აძლევენ 9 აპრილის ტრაგედიასთან დაკავშირებით. ამით კი ნებით თუ უნებლიედ, ამ საქმეში უბრალონი გამოდიან იმპერიული ძალები და მათი სატელიტები საქართველოში. საყურადღებოა, რომ ამგვარი იდეის დამამკვიდრებლად გვევლინებიან უმეტესად ისინი, ვინც მაშინ გვერდზე გადგა და ეროვნული მოძრაობის სადავეები ახალგაზრდობას ჩააბარა, პოლიტიკიდან შორს დგომის გულუბრყვილო მოტივით.

გვითქვამს და კვლავ გავიმეორებთ: 9 აპრილის მოვლემოთხოვნა, მისი შედეგი წარმოუდგენლად სავალალო იქნება, ვიდრე ეს ერთი შეხედვით შეიძლება მოეჩვენოს კაცს. მაგალითიც სახეზე გვაქვს. პოლიტიკაში არსებითად ჩაუხედავთა ხელისუფლება განდევნილი იქნა. მათ ნაცვლად კი მოვიდა მსოფლიო რანგის პოლიტიკოსი თავისი გუნდით; არჩევნების ჩატარებით კი ხელისუფლებამ ლეგიტიმურობაც მიიღო, მაგრამ რიგ საერთო საქმეებში წარმატებული ნაბიჯების მიუხედავად, საქმე წინ მაინც ვერ მიდის. საქართველო და მისი ხალხი დაიღალა, არაა ერთსულოვნება ერის შიგნით, ქვეყანა ეკონომიკურად უფრო გაჩანაგდა, არა ჰყავს ძლიერი და მობილური არმია და კიდევ მრავალი სხვა. ყველაფერი ამის გათვალისწინებით კი ძნელი არ უნდა იყოს დანახვა იმისა, რომ კიდევ ერთი „გადატრიალება", კიდევ ერთი „გარდამავალი პერიოდი" და კიდევ ერთი არჩევნების ჩატარება და სახეზე გვექნება სრული ქაოსი გარდუვალი სამოქალაქო ომის წინაპირობით.

აიტანს კი საქართველო ამდენს? არა გვგონია. ამიტომაც მართებს ყველას მოსალოდნელი ტრაგედიის გათვალისწინება.

მიხეილ მახარაძე



# წერეთელს არ მოსწონს პროზვიადისტები, სძულს პროშევარდნაძისტები და ეზიზღება პროჭანტურისტები

12 ივლისს მაჩაბლის ქუჩაზე ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის შტაბ-ბინის დარბაზში პარტიის თავმჯდომარის ირაკლი წერეთლის მიერ ორგანიზებულ ყრილობაზე არც დასაჯდომი, არც დასადგომი ადგილები აღარ იყო. ყრილობას დაესწრო საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილი ყველა პარტიის წარმომადგენელი, მათგან არჩეული პარლამენტის დეპუტატთა საკმაოდ დიდი რაოდენობა.

ირაკლი წერეთელს თავის სეფე სიტყვაში ახალი არაფერი უთქვამს. მან ფაქტიურად უფრო ვრცლად გაიმეორა შევარდნაძის ჩინეთში ყოფნის დროს პარლამენტში წარმოთქმული თავისი სიტყვა. რუსოფილ შევარდნაძეს ახალი გეორგიევსკის ტრაქტატისაკენ მიჰყავს ქართველი ერი და ეროვნულ—განმათავისუფლებელი მოძრაობის ავანგარდმა არ უნდა მისცეს მას საშუალება საქართველოს ახალი ან უკვე სამუდამო დაკაბალებისა. 3 სექტემბრის ხელშეკრულებას მოჰყვა გაგრის ზონის დაკარგვა. ყოველ შემთხვევაში სახელმწიფოს მეთაურის მოსკოვში ყოველი ვიზიტის შემდეგ საქართველო უფრო მძიმე მდგომარეობაში ვარდება. მანვე აუწყა ხალხს, რომ მზადდება ახალი პროვოკაცია. კერძოდ, სოხუმში სახელმწიფოს ჯარებზე მოხდება ლოთი ქობალიას ერთგული ქვეგანაყოფების თავდასხმის იმიტაცია, რის შემდეგაც სამთავრობო ნაწილები შევლენ სამეგრელოში, ხოლო სოხუმი დაეცემა. ამ ინფორმაციის წყაროდ მან მასთან დაახლოებული პირები დაასახელა, რომელთა ვინაობა კონკრეტულად არ გაუმხელია.

ყოველივე ამის გამო და აგრეთვე „დამარცხებათა კორიანტელისათვის“, რაც საქართველოს შევარდნაძის ჩამოსვლის შემდეგ დაატყდა თავს, იგი უნდა გადადგეს, ხოლო ეროვნული ძალების ამოცანა „მოცემულ ისტორიულ ეტაპზე“ არის უაღრესად მშვიდობიანი და მასშტაბური აქციების მოწყობა. „ჩვენ შეგვიძლია მიტინგზე ან მანიფესტაციაზე ასი ათასი კაცი გამოვიყვანოთ“ აღნიშნა წერეთელმა.

სიტყვაში გამოსულმა ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარემ ბატონმა აკაკი ასათიანმა გაიზიარა ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ლიდერის მოსაზრებანი, მაგრამ მიიჩნია, რომ შევარდნაძის სასწრაფოდ გადადგომა მეტ დაძაბულობასა და ქაოსს შეიტანს მეომარ ქვეყანაში, რაც გაართულებდა საერთო მდგომარეობას და განსაკუთრებით სიტუაციას დასავლეთის ფრონტზე. ამ პოზიციამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ორთოდოქს ზვიადისტთა შორის, ფაქტიურად დარბაზში ასეთი მნიშვნელოვანი პრობლემის ირგვლივ მსჯელობისათვის საჭირო წესრიგის დამყარება ველარ მოხერხდა.

ასათიანის პოზიციის იდენტური იყო სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების თავმჯდომარის ბატონ ვაჟა ადამიას პოზიციაც, იმ განსხვავებით რომ იგი მომხრეა კონვენციისა (ყოფილი უზენაესი საბჭო, დღევანდელი პარლამენტი) და 1921 წლის კონსტიტუციის შესწორებული ვარიანტის ბაზაზე ახალი არჩევნებისა. კანონიერი ხელისუფლების დაბრუნების მოთხოვნა მან ფანტაზიად მიიჩნია, რაც გამოიწვევს სისხლს და თვითგანადგურების ახალი, საბოლოო ეტაპის დაწყებას. აშკარა იყო ერთი ტენდენცია, რომელიც ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ — დღეს შევარდნაძის სიძულვილი უფრო მეტ ხალხს გამოიყვანს ქუჩაში, ვიდრე გამსახურდიას სიყვარული, ამიტომ არ ღირს იმ მოთხოვნების წამოყენება, რომელმაც ხელისუფლება შეიძლება გაალიზიანოს და ძალისმიერი მეთოდებით აამოქმედოს. ეს აზრი დაადასტურა ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ბატონმა გიორგი ხოშტარიამ, რომელმაც მოიყვანა პრეზიდენტის გამონათქვამი: დრო მოვა, კარი თავისით გაიღებაო. გარდა ამისა, ზვიად გამსახურდიას დაბრუნების მოთხოვნა იწვევს მხედრიონისა და მისი ლიდერის აქციებს, ეჭვგარეშეა, შეშინებული პარლამენტი უსწრაფესად დაუთმობს ჯაბა იოსელიანის კაპრიზებს, რომლის კრიტიკა და თანაც საკმაოდ მწვავე არა ერთხელ გაისმა ამ ყრილობაზეც. ყველა გამომსვლელის მიერ მკაცრად იქნა დაგმობილი რეფერენდუმის იდეა, რომელიც სახელმწიფოს მეთაურმა წამოჭრა. ქართველმა ხალხმა უკვე ორჯერ მოაწყო პლებისციტი და თუ დღეს ბატონ შევარდნაძეს მიაჩნია, რომ ქართველები შიმშილით უკვე საბოლოო კონდიციამდე ვართ დაყვანილი, სასტიკად სცდება. ქართველი კარგად აცნობიერებს სად არის მისი ყველა უბედურების სათავე. ამ ბოლო დროს სახელმწიფოს მეთაურს პოლიტეკონომიური შეცდომები მოსდის — პოლიტიკური — რეფერენდუმის იდეა, ეკონომიკური — დვალიშვილის თავგამოდებული დაცვა.

ნაციონალისტები, ირაკლი წერეთლის გამოთქმაა, ირაზმებიან ინტერნაციონალისტების წინააღმდეგ — ეს უკანასკნელნი დღეს რუსოფილებად გაიაზრებიან, ირაკლი წერეთელმა კრიტიკული დამოკიდებულება გამოხატა ბატონ ნოდარ ნათაძის მიმართაც. ერთიც არის გასათვალისწინებელი — როგორი მშვიდობიანიც არ უნდა იყოს მიტინგი ან მანიფესტაცია, იმ ქვეყნის ძალები, რომლებიც დაინტერესებულია საქართველოში სიტუაციის დესტაბილიზაციით, იოლად მოახერხებს რაიმე პროვოკაციის მოწყობას, სისხლის დაღვრასაც კი და მერე აღარ გაირჩევა მტყუანი და მართალი და ველარც წერეთლის ცხელ გულზე გაკეთებული მოწოდებები გადაარჩენს ქვეყანას.



# საბაზრო ეკონომიკა და განათლების სისტემა

უკანასკნელ პერიოდში განათლების სისტემაში არსებული პრობლემების შესახებ ბევრი ითქვა და დაიწერა, მაგრამ საჭიროა კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ აღნიშნულ საკითხს და არსებული პრობლემები განვიხილოთ არა გარე სამყაროსგან იზოლირებულად, არამედ კომპლექსურად, ეკონომიკასთან მჭიდრო კავშირში.

სწავლების ხარისხის დაცემა მხოლოდ სტუდენტების სიზარმაცესა ან პროფესორ მასწავლებლების დაბალ კვალიფიკაციაში არ უნდა ვეძებოთ. თუ აღნიშნულ პრობლემას შევხედავთ ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური კანონების თვალით, ბევრი რამ უფრო ნათელი და გასაგები გახდება.

ბაზრის არსებობის ძირითადი პირობაა მყიდველებისა და გამყიდველების არსებობა. მყიდველებს, აქვთ რა სხვადასხვა სახის მოთხოვნილებები, გამოდიან ბაზარზე, რათა შეისყიდონ მათივე მოთხოვნის შესაბამისი საქონელი, ხოლო გამყიდველები ცდილობენ მყიდველს შესთავაზონ ისეთი საქონელი, რომელიც გაიყიდება ე. ი. დააკმაყოფილებს მყიდველის მოთხოვნილებას. ჩვენს შემთხვევაში მყიდველების როლში გვევლინებიან სტუდენტები, აბიტურიენტები ან მათი მშობლები, ხოლო გამყიდველები არიან სხვადასხვა ფასიანი თუ სახელმწიფო, უმაღლესი თუ ტექნიკური სასწავლებლები.

შევეცადოთ დავადგინოთ რა მოთხოვნილება აქვთ სხვადასხვა სახის სასწავლებელთა მყიდველებს. კომუნისტური სისტემა წარმოებასა თუ სხვა სფეროში დასაქმებულ მუშაკთაგან მრავალ მიზეზთა გამო არ მოითხოვს ღრმა თეორიულ თუ პრაქტიკულ ცოდნას. ამიტომ სამსახურში მიღებისა თუ დაწინაურებისას, უმრავლეს შემთხვევაში, საერთოდ არ ექცევა ყურადღება სპეციალისტებისა და ხელმძღვანელი მუშაკების კვალიფიკაციასა და ცოდნას. ამ დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა ნაცნობ-მეგობრობას, პროტექციასა თუ გაღებულ ქრთამის სიდიდეს. აუცილებელია, მხოლოდ, განათლების დამადასტურებელი საბუთის, „დიპლომის არსებობა. სწორედ ამიტომ აბიტურიენტები, სტუდენტები თუ მათი მშობლები სასწავლებელში მიდიან დიპლომის შესაძენად და საერთოდ არ აინტერესებთ თუ რა ცოდნას მიიღებენ სწავლის პერიოდში. დიპლომი! ეს არის ფასიანი თუ სახელმწიფო

დასასრული მე-8 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებისმიერი ომი, თუ ერთის მხრივ ადამიანის ზნეობის დაკნინებას, გადაგვარებას, დათრგუნვას და ბოროტების აღზევებას, სიძულვილის დამკვიდრებას უწყობს ხელს, მეორეს მხრივ მას სულიერად განწმენდს, ამაღლებს, სიკეთის ქმნისკენ უბიძგებს და სიყვარულს უღვივებს. თუმცა, ადამიანთა ხასიათის გამოვლენის ეს "შეფარდება, ამგვარ ექსტრემალურ სიტუაციაში აშკარად ბოროტების სასარგებლოდაა, სიკეთის ფესვები უფრო ღრმაა და მისი საბოლოო გამარჯვება უეჭველია. სწორედ ამას გვასწავლის რუსთაველი: „ბოროტსა სძლია კეთილმან არსება მისი გრძელიაო".

ალბათ მომავალში სწორედ სიკეთე გახდება ის მამოძრავებელი ბერკეტი, რომელიც სიძულვილით დაცილებულ-გადამტერებულ ადამიანებს გულს გაუთბობს, კვლავ დააახლოვებს. უპირველეს ყოვლისა სომეხი კაცი მხოლოდ იმიტომ დასაჯეს, რომ თავის ბრიგადაში მიგვიწვია, მანდარინის პლანტაციებში გვამუშავებდა და ამაში მართალია უმნიშვნელოს, მაგრამ ფულს გვიხდიდა.' აქვე არ შემიძლია არ ვთქვა, რომ ჩვენებური სომხები პროდუქტებს შედარებით იაფად გვაძლევდნენ. იცოდნენ რომ ფინანსურად გვიჭირდა. (აფხაზებმა მიწის ნაკვეთებიც კი წაგვართვეს, რომ არ დაგვემუშავებინა და მოსავალი არ მოგვეწია) სამწუხაროდ, იგივეს ვერ ვიტყვი ალახაძის სომხებზე, რომლებმაც ძალიან ბევრი ქართველის სისხლით შეიღებეს ხელები.

ყოველდღიურმა გაჭირვებამ და დაძაბულობამ გადაგვღალა. ერთი სული გვქონდა როგორმე სამშვიდობოზე გამოვსულიყავით. სულ უბრალო რამეთი შეიძლებოდა კაცს თავი დაეკარგა. ტრანსგარიშს არ უწევდნენ. ჩვენს გამცილებელ აფხაზს იცნობდნენ და პიკეტებზე დაუბრკოლებლად გამოვდიოდით. მიუხედავად ამისა, ადლერის საზღვართან, მდინარე ფსოუს ხიდთან მოწყობილ პიკეტზე დიდი შიში ვჭამეთ. ამ ახალგაზრდა ვაჟმა და წითელი ჯვრის წარმომადგენელმა ქალმა ჩვენი საბუთები გადაიტანეს, რომ გაშვების ნებართვა აეღოთ. ამასობაში მოპიკეტეები მოგვადგნენ და პასპორტები მოგვთხოვეს. იაზე და ძეზე დამთავრებულმა ჩვენმა გვარებმა ცოტა არ იყოს დააბნიათ. გვიბრძანეს — ქართველები რომლებიცა ხართ, ჩამოდითო. როდესაც გაიგეს რომ ყველა ქართველები ვიყავით ლანძღვა-გინება დაგვიწყეს და გამოიწიეს — ეხლავე ყველას დაგხვრეტთო. საჭესთან მჯდომი შვეიცარელი ქალი გადმოხტა სახეგაფითრებუ-

# «ჩვენი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა...»

"საქართველოში მეომარ მხარეებს ვგულისხმობ. ასეთი დასკვნის გაკეთების იმედი მომცა აფხაზეთიდან ლტოლვილი, ბიჭვინთის პირველი სკოლის მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ქალბატონ ლამარა ქემოკლიძის მონაყოლმა, თუმცა სიკეთე აქ უფრო სიმბოლურად გამოიყურება:

— მტერს არ ვუსურვებ იმ შიშს, შიმშილს, ძალმომრეობასა და დამცირებას, რაც ჩვენ, იქაურ ქართველებს გადაგვხვდა. თებერვალში ჩემი თვალით ვუყურე როგორ წაიყვანეს ჩვენი მეზობელი 50-ს გადაცილებული მშენებელი-ინჟინერი დავით დონდუა აფხაზმა ექსტრემისტებმა იქვე ჩვენს ახლოს მდებარე ზღვასთან. ჩააყენეს თითქმის გაყინულ წყალში, იმ მიზეზით, რომ თითქოს იარაღს ყიდულობდა და ქართველებს ურიგებდა. გამწარებული კაცი გამოექცათ. დედას ევედრებოდა — მიშველე მკლავენო. მაშინ ამის თავი ვის ჰქონდა, შემდეგ გავაანალიზეთ, რომ სპეციალურად მისცეს გამოქცევის საშუალება, რომ ოჯახის წევრებზე და მეზობლებზე ფსიქოლოგიურად ემოქმედათ. ეს იმდენად *საშინელი სურათი იყო რომ აფხაზი მეზობლებიც კი ტიროდნენ. მოძალადეებმა ეს სველი კაცი მსუბუქი მანქანის საბარგულში ჩატენეს. ღმერთმა უშველოს, მეზობელი აფხაზი კაცი გამოესარჩლა — რას შვრებით, ადამიანიაო. თვითონ მიუჯდა გვერდით და ასე წაიყვანეს.

ამის შემდეგ დავითი აღარ გვინახავს. ცოლშვილმა ყველგან ეძება, მაგრამ ამაოდ. ხმა გამოვიდა, აწამეს და ინკიტის ტბაში დაახრჩვესო.

უფრო ადრე ჩვენს ეზოში დაზრდილ-დავაჟკაცებული 25 და 28 წლის ძმები მეტრეველები უკვალოდ გააქრეს. მიზეზი კი ის გახლდათ რომ მეზობლები შეკამათდნენ აფხაზეთის ომზე და ძმები დაემუქრნენ — ქართველები რომ შემოვლენ ყოფას გიტირებთო. ერთმა სულგაყიდულმა ქალმა ეს მუქარა სადაც საჭირო იყო, იქ მიიტანა.

საბედნიეროდ ყველა აფხაზი არ იყო ერთ თარგზე გამოჭრილი. მათი ნაწილი, მართალია იშვიათად, მაგრამ პროდუქტებს გვთავაზობდა. ერთმა აფხაზმა მეომარმა 500 მანეთიც კი გვაჩუქა. თუმცა ამას ფარულად აკეთებდნენ. გვაფრთხილებდნენ არავისთან გვეთქვა. ეშინოდათ რომ თავისივე სისხლსა და ხორცს არ დაებეზღებინათ. ექსტრემისტებმა ერთი პორტით მგზავრობის უფლებაც კი არ გვქონდა, თუკი ამას მაინც გავბედავდით, მოპიკეტეები შეურაცხმყოფელი სიტყვებით დაბლა გვყრიდნენ. პირადად მე ორჯერ ჩამომსვეს. მარტის ერთ დღეს ბინაში გვეწვივნენ. ვითომ იარაღის შესაძენ სიებს ვადგენდით. ყველაფერი თავდაყირა დაგვიყენეს. რაც მოეწონათ წაიღეს. თან დაგვემუქრნენ — ოქროს თუ არ გამოაჩენთ, დაგხოცავთ, რაც რამე გვქონდა მივუტანეთ.

ბოლო დროს ხაძარცვავად ნიღბებით შედიოდნენ. შემდეგ ხმებს ავრცელებდნენ, ჩვენ არაფერ შუაში არა ვართ ჩეჩნები და ყაბარდოელები გაყაჩაღებენო. იმაზეც გვიჯავრდებოდნენ, თუ ჩეჩენი თუ სხვა გაგვქურდავდა. ჩვენი ქონების დარდი არ ქონდათ, კონკურენტებად თვლიდნენ. ჩეჩნებიც კი ხელებს შლიდნენ — ეს რა ხალხი ყოფილაო.

— ქალბატონო ლამარა, აფხაზთა დაქვემდებარებული ტერიტორიიდან წამოსვლის მსურველი ძალიან ბევრი ყოფილა, თქვენ როგორ მოახერხეთ?

— შვეიცარიის წითელმა ჯვარმა გამოგვიყვანა, სამი ოჯახის ექვსი კაცი. აფხაზებზე გაგვცვალეს. მიუხედავად ამისა, ჩვენი უსაფრთხოების გარანტიისთვის ეს ფაქტორი არასაკმარისი აღმოჩნდა. მანამდე, ცხადია, ბინებიდან ამოგვწერეს. თითო სულს 60 მანეთი გადაგვახდევინეს. სხვათაშორის სადაბო საბჭოს თავმჯდომარემ შამბამ გვითხრა — რატომ ჩქარობთ, რატომ მიდიხართ? ჩვენს პასუხზე, რომ საარსებო წყარო არ გვაქვს. „დაგვამშვიდა" — ნუ გეშინიათ, ათ დღეში ომი დამთავრდება და ყველაფერი მოწესრიგდებაო.

— ბინის ფული თუ აგინაზღაურეს?

— არა, ამაზე ლაპარაკი არც ყოფილა. ნაწილი ნივთებისა გავაჩუქეთ, უმეტესობა დავტოვეთ. ისე ფული კიდეც რომ გადაეხადათ, აზრი არ ჰქონდა, სულერთია გზაში წაგვართმევდნენ. წითელი ჯვრის წარმომადგენლები ორნი იყვნენ და ორივე ქალი. ერთი მათგანი სარკესთან იჯდა. გვაცილებდა ახალგაზრდა, სამხედროფორმიანი აფხაზი. ძირითადად სწორედ მას უნდა ვუმადლოდეთ რომ შედარებით უხიფათოდ ვიმგზავრეთ.

— მიუხედავად იმისა, რომ წითელი ჯვრის მანქანას მკვეთრად ამოსაცნობი ნიშნები აქვს?

— ამას, როგორც შემდეგ დავრწმუნდით, აფხაზები დიდ ანგარიშს ... ლი მანქანის კარებს აეფარა და იქით შეუტია — წითელი ჯვრის მანქანაა, ძალადობის უფლება არა გაქვთო. ჩვენს ბედად ჩვენი წასულები დაბრუნდნენ. ჩვენმა აფხაზმა აუხსნა-გაცვლილები არიან და უფლება არა გაქვთ რაიმე დაუშავოთო. ამ ვაჟმა კიდევ ერთხელ დაგვიცვა, როდესაც ბარგის გაჩხრეკვა მოინდომეს, — საეჭვო არაფერია ყველა ბარგი სათითაოდ დავათვალიერეო. თვითმფრინავში ბარგის ჩალაგება რომ დავიწყეთ ხელი არ გაუჩერებია. თვითმფრინავის გამოფრენამდე არ მოგვშორებიან შვეიცარიელი ქალებიც. შეიძლება არც დაიჯეროთ და დამშვიდობებისას იმ აფხაზმა ვაჟკაცმა სათითაოდ გადაგვკოცნა.

გვინდოდა რაიმეთი გადაგვეხადა პატივისცემა და სიხარული ის არის, თქვენს თვალებში ბედნიერების სხივებს რომ ვხედავთო.

თბილისში ჩამოსვლის შემდეგ გავიგეთ ერთი შემზარავი ამბავიც. აფხაზებს საკუთარ სახლში ამოეხოცათ ლიძაველი მოხუცი ცოლ-ქმარი ბენდიანიშვილები. მათთან ნათელმირონი გვაკავშირებდა. ბაბუა ლადო, როგორც დიდ-პატარა ეძახდა, 90-ს იყო მიტანებული, მაგრამ ჭარმაგი მოხუცი იყო. ვაზის მოვლა-პატრონობა მისგან ისწავლეს. პირველ ივნისს, ჩვენი წამოსვლის წინა დღეს, მოხუცები ვინახულეთ, რომ შვილებისთვის მათი ამბავი ჩამოგვეტანა, ვანუგეშეთ, მალე თქვენც გაგიყვანენ სამშვიდობოსო. ბაბუა ლადომ გვიპასუხა მე რომ სადმე წავიდე, ჩემი ვენახი ხომ გადაგვარდა და გაპარტახდა, ვაზს ვერ ვუღალატებო.

ეს ტრაგედია რომ გავიგეთ, მათ მეზობლებს აგრბებს ტელეფონით დავუკავშირდით. მათ — „ვსიო ნარმალნოო" — გვიპასუხეს. ჩვენს კითხვაზე, მოხუცების დახოცვა ნორმალური როგორ არისო, მან დაგვიდასტურა ეს ფაქტი, და თუმცა, ეს საქმე ვინც ჩაიდინა, მათი გამხელა არ შემიძლიაო.

ვეჭვობ რომ მოხუცები ვიღაცამ ბინის გულისთვის მოიშორა.

— ქალბატონო ლამარა, ძალიან ბევრი, და მათ შორის ძირითადად ექსპრეზიდენტის მომხრეები, სთვლიან რომ აფხაზეთში ომი ჩვენ დავიწყეთ. საინტერესოა თქვენ რას ფიქრობთ ამ საკითხზე?

— ასეთი მოსაზრება აფხაზების წისქვილზე ასხამს წყალს, ამავე დროს არაფერი აქვს საერთო სინამდვილესთან. აფხაზები

დასასრული მე-8 გვ.

# შეტაკება ცხინვალში

გასული კვირის ბოლოს ცხინვალში მოხდა შეტაკება ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ომონსა და იმ შეიარაღებულ ფორმირებებს შორის, რომლებსაც ოსები ქართველებთან ომის დროს სახალხო ლაშქარს ეძახიან, ხოლო საომარი მდგომარეობის დროებით განმუხტვის დროს ბანდიტებს. დაიღუპა ათამდე ადამიანი, ძირითადად ის ოსები, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან არიან ქალაქში შესულნი. ეს ყველაზე დიდი შეტაკებაა უკანასკნელი თვეების მანძილზე, რომელმაც ასეთი მსხვერპლი გამოიწვია. აღსანიშნავია რომ რამოდენიმე ათეულ დაჭრილს შორის აბსოლუტური უმრავლესობა მძიმედ არის, ეს კი შეტაკებაში მონაწილე ორივე მხარის მაღალპროფესიონალიზმზე მეტყველებს. ცხინვალის მოსახლეობის ერთი ნაწილი მომხდარში ომონს ადანაშაულებს, რომლებიც დაუნდობლად ანადგურებს ყველა ოდნავ ეჭვმიტანილ პიროვნებასაც კი. ამ სამი თვის წინ-უფრო ზუსტად თებერვლის მიწურულში ცხინვალში სამართლდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა საერთო კრებაზე, ბანდიტებისაგან დიდი მსხვერპლით გალიზიანებულმა მილიციელებმა და ომონელებმა დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადეს ყველას ვინც მათ არ დაემორჩილებოდა. მას შემდეგ დამოკიდებულება მათსა და მოსახლეობის ერთ ნაწილს შორის ძალიან დაიძაბა და აი, აღნიშნული შეტაკება შეიძლება კულმინაციურ მომენტადაც ჩაითვალოს.

მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მხარს უჭერს ომონისა და მილიციის ასეთ მკაცრ ღონისძიებებს, რადგან ბანდიტი მოროდიორებისაგან დღეს უპირველესად ცხინვალსა და ცხინვალის შემოგარენი ოსური სოფლების მოსახლეობა ზარალდება. ეს ის ნაწილია, რომელმაც გააცნობიერა შექმნილი სიტუაციის მცირერიცხოვანი ერისათვის ტრაგიკულობა და კონფლიქტის დასრულების მომხრეა, ოღონდ არა ნებისმიერი საშუალებით — როგორც მინიმუმი, ისინი ოლქის აღდგენას მაინც ითხოვენ, სხვანაირად თვითონაც მზად არიან იბრძოლონ იარაღით ხელში.

საქართველოს ხელისუფლების მიერ ცხინვალის რეგიონის ღვთის ანაბარად მიტოვებამ, რამაც ქალაქი ქართველებისათვის მიუწვდომელი გახდა, ამასთან გადააქცია იგი ნარკობიზნესის ბუდედ, ოსებისთვისაც სავალალო შედეგი გამოიღო. თვითგანადგურების ეს პროცესები უფრო გაღრმავდება, რადგან ოსებში ძალზე ძლიერია კლანურ-გვაროვნული გრძნობები. გარდა ამისა ომონი ემორჩილება რა ამ ომის შედეგად გამდიდრებულ და ხელისუფლებაში მოსულ ბანდოკრატიას, აპირებს მოიცილოს მათი კონტროლიდან გამოსული გუშინდელი თანამებრძოლები, "რომლებიც ამასთან გავლენის სფეროების ხელახალ გადანაწილებას ითხოვენ.

აღნიშნული შეტაკებიდან უფრო ადრე საქართველოს მოსაზღვრე სოფელ ჩმიში (ჩრდ.კავკასია) მოხდა ანალოგიური ხასიათის შეტაკება, სადაც სამხრეთელმა ოსებმა დახოცეს ქართველებთან ბენზინით მოვაჭრე ჩრდილოელი თანამოძმენი. ეს შემთხვევაც ჩვენში კეთილმოსურნე რუსეთმა ჩვენს წინააღმდეგ გამოიყენა — ჩრდილოეთ ოსეთის მთავრობას განუცხადეს რომ ბენზინზე მათი ლიმიტი ამოწურულა. საერთოდ დაძაბულება იზრდება არა მარტო შიგ ცხინვალში, არამედ სამხრეთელ და ჩრდილოელ ოსებს შორისაც. ყოველივე ზემოთქმულში ჩვენთვის სამწუხარო კი მხოლოდ ის არის რომ: 1) ქართველები ვერ ბრუნდებიან საკუთარ ქალაქში; 2) ცხინვალი გადაიქცა საქართველოს მოსახლეობის ნარკოტიკებით მომარაგების ცენტრად; 3) ამ დაძაბულობას ვიღაცამ შეიძლება უახლოეს ხანებში ისევ ქართველებისაკენ მისცეს მიმართულება, მაშინ მომაკვდინებელი საფრთხის ქვეშ აღმოჩნდებიან არა მარტო დიდი ლიახვის ხეობის ქართულ სოფლების მცხოვრებნი არამედ ცხინვალის სამხრეთით მდებარე გორის რაიონის სოფლებიც.

მერაბ მაისურაძე



# ერპები და კერპმსახურები

## მეორე წერილი · ჯანსუღ ღვინჯილიას)

### როსტომ ჩხეიძე

ბატონო ჯანსუღ!

თქვენს მეორე პოლემიკურ სტატიაში ასჯერ გადაღეჭილი ცნობების" სათქმე- („საქართველო", 1993, №14, 15), ლაზე მოულოდნელი მაინც ეს ფრაზაა: ალინის დროინდელი ანუ „საბჭოური" ოდოლოგიის თავდაყირა დაყენებაა ჩემი ნი სწორედ თავისი მიზანდასახულობით". თუკი თქვენი „გიორგი სააკაძის პირო- ა" მართლა ასეთია, როგორც გვარწმუ- , თქვენი ღვაწლი განუზომელი ყოფილა მხოლოდ ქართული, არამედ საკაცობრიო ტურის წინაშე.

თანაც რა დროს შეგიბედიათ, სულაც დაყირა დაგიყენებიათ საბჭოური იდეო- გიის მეთოდები: კომუნისტური რეჟიმის ცე ზეობის ხანაში, როცა პროტესტან- მძიმე რეპრესიები ატყდებოდათ თავს. მაინც როგორ დააყენეთ თავდაყირა ეს ოდოლოგია?

ალბათ სრულიად საპირისპირო შეხედუ- ანი გამოთქვით იმისა, რა აზრსაც უნისტური პარტია ნერგავდა საქართვე- წარსულსა და ისტორიულ პიროვნებე- და, კერძოდ გიორგი სააკაძეზე.

რამდენადაც პარტიის მიზანი ყოველთვის ჩვენი წარსულის გაყალბება, ისტორი- მოვლენების ახსნა კლასობრივი ბრძო- თვალთახედვით, ეროვნულ გმირთა და და მოწამეთა სახელების მიჩქმალვა და ატიონთა სამეფო დინასტიის, როგორც ული სახელმწიფოებრიობისა და დამო- ებლობის სიმბოლოს, დისკრედიტირება, ისუფლებისათვის მეტად ხელსაყრელი ლდათ გიორგი სააკაძის კულტის დამკ- რებაც: გაორებული კაცის მორალი ზუ- ესადაგებოდა კომუნისტური პარტიის ბრივ მრწამსს, ახალ წარმოდგენას ლურ ადამიანზე, ქრისტიანული ეთიკური ლის საპირისპიროს — სიმართლის ვლად სიცრუე, ღირსების ნაცვლად უღი- ბა.

ასეთი იყო პარტიის ოფიციალური სი და მოთხოვნა, ამიტომ განსხვავებული იდევნებოდა და სწორედ იმ ხანებში, ა თქვენი წიგნი შეიქმნა, ცენზურამ ლა ანაწყობი ჟურნალ „ცისკარში" და- ედად გათვალისწინებული აკაკი ბაქრა- ერცელი წერილისა „მკვახე შეძახილი", ან იგი სულ ორიოდე გვერდზე ხელი- ლებისაგან განსხვავებულად აფასებდა რგი სააკაძის პიროვნებასა და მოღვაწე- და, არამცთუ იდეალად არ სახავდა, ევდა რენეგატად, უზურპატორად, ამიერ რთველოს ამაოხრებლად. დაახლოებით მიზეზით „ცისკრის" ფურცლებზე ვერ ქვეყნდა თამაზ ნატროშვილის ისტორი- ნარკვევიც „ორი მოურავი".

მაშ თქვენს თხზულებასაც ვერ უნდა დღის სინათლე, და თუკი სასწაულით ხლტებოდა ცენზურის მარწუხებს, თქვე- მკაცრად უნდა მოეთხოვათ პასუხი. ური მეთოდოლოგიის ამოყირავებისათ-

სინამდვილეში კი კარიც ფართოდ გა- ნეს და დიდადაც დაგიმადლეს.

ასეთი რა დაემართა ხელისუფლებასა ცენზურას, რომ მაინცდამაინც ამჯერად გაერკვნენ, რა მიზანი გამოძრავებდათ, მოწინააღმდეგედ კი არა, თავიანთ ულ პროპაგანდისტად მიგიჩნიეს?!

თქვენ კიდევ ერთხელ შეასხით ხოტბა ვისაც საბჭოთა წყობილების ხანაში ც არ მოკლებია ხოტბა-დიდება: გაა- ლეთ მისი გაორებული ზნეობა, რენე- ბა, უზურპატორობა, კლასობრივ თეო- დაყრდნობით შეურაცხყავით ქართვე- მეფეები. ლუარსაბ მეორე, ვინც ქარ- მა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა, წა- ახეთ უმადურ და უნიათო პიროვნებად, ეკლესიისა და ეროვნული მოძრაობის ათვალწუნებული გიორგი სააკაძე კიდევ ელ დასახეთ იდეალად.

არტიის მოთხოვნები მუხლობრივად შე- ულებიათ და ეგაა.

კი საბჭოური მეთოდოლოგია დავაყენე ყირაო?!

საბჭოური მეთოდოლოგია კი არა, თა- რა დააყენეთ ზნეობრივი პრინციპები საქართველოს ისტორიის პირუთვნელი რება.

სევეა თქვენს ამ პოლემიკურ წერილე-

ხვაგვარად შეუძლებელიცაა: ნომენკლა- ლი გმირის დაცვას მეთოდებიც საბ-ჭოური შეეფერება. ამიტომ ამაოდ ვამხილე თქვენი წინა სტატიის ჟანდარმული პათოსი, რადგან კვლავ ხალხისა და ქვეყნის სახელით მრისხანებთ (თუმცა არაფრისდიდებით არ განმარტავთ, საამისოდ რა დამსახურება მიგიძღვით), კვლავ არ ერიდებით შეურაცხმყოფელ (ზოგიერთ შემხვევაში უხამს) გამოთქმებსა და ცილისწამებებს ჩემსა თუ ყველას მიმართ, ვინც სააკაძეს ღვაწლს არ უკარგავს, ოღონდ ეროვნულ გმირად და იდეალად არ აღიარებს, არ ერიდებით არანაირ სიცრუეს, გაყალბებას და ყოვლად დაუსაბუთებელ მსჯელობას, არც ერთი და იმავეს დაუსრულებელი განმეორება წყინდებათ და არც ლოზუნგური და ცრუთეატრალური შეძახილები.

არაფრის გაგონება არ გსურთ, გარდა თქვენი კერპის განდიდებისა.

თქვენ გცალიათ, რომ ერთი და იგივე გადმოწეროთ თქვენი პროპაგანდისტული წიგნიდან, რომელშიც — გასაგებ მიზეზთა გამო — ვერსად წავაწყდებით ვერცერთ ახალ დებულებას, რაიმე ახალ ცნობას, ახალ წყაროს, ციტატებიც კი ყველა გაცვეთილია...

გიორგი სააკაძის პიროვნებასა და მოღვაწეობის რაობაზე საკმარისად ვისაუბრე ჩემს სამოგზაურო ნარკვევსა და პოლემიკურ სტატიაში და მკითხველი თვითონვე განსჯის, რამდენად სამართლიანი და საბუთიანია ჩემი მსჯელობა.

თქვენეული კამათის ხერხების ნათელსაყოფად კი აქ მხოლოდ ორიოდე მაგალითით შემოვიფარგლები.

მსაყვედურობთ, რომ ქართლ-კახეთის გაერთიანებას „პატარა ერთიანობას" ვუწოდებ და თითქოს ამას განზრახ ჩავდივარ, პასუხსაც მთხოვთ: „აბა, გავიხსენოთ, რამდენი ხნის განმავლობაში იყო ცალ-ცალკე სამეფოდ ქართლი და კახეთი 1625 წლამდე? ვინ, რომელმა მეფემ შეძლო მათი გაერთიანება, მოხერხდა იგი 1625 წელს, სააკაძის წყალობით და მისი ნებითვე! პატარა მნიშვნელობა აქვს ვითომ ამ ერთიანობას?"

ასე ამოგლეჯილად თუ განვიხილავთ, ეს გამოთქმა იქნებ მართლაც იწვევდეს ამგვარ შენიშვნას, მაგრამ ის ხომ გარკვეული მსჯელობის ელემენტია და კონტექსტის გაუთვალისწინებლად მისი მართებული განსჯა არ მოხერხდება.

მართალია გიორგი სააკაძემ მნიშვნელოვანი ღვაწლი დასდო ქართლ-კახეთის გაერთიანებას, მაგრამ არანაკლებ იღვაწა მის დასაშლელადაც და ყოველმხრივ მომზადებული სამხედრო გადატრიალება წარმატებით რომ განეხორციელებინა, ქართლის სამეფო ტახტის უზურპაციას მოახდენდა. ეს ვითარება თავისთავად აუფასურებს ყოვლად უსაფუძვლო, დეკლარაციულ განცხადებას, თითქოს გიორგი სააკაძე საქართველოს გაერთიანებას ესწრაფოდა (ანტონ ფურცელაძე, საბჭოური სააკაძეოლოგია) და ამიტომ ვთქვი რომ: არამცთუ გაერთიანებულ საქართველოზე ოცნება, სააკაძემ ქართლ-კახეთის ეს პატარა ერთიანობაც — იმ დიდ მიზანთან შედარებით — თავის პატივმოყვარულ წადილს უმსხვერპლა.

ამ კონტექსტში ვითომ მართლა დამცირებულია ქართლ-კახეთის გაერთიანების მნიშვნელობა?

ეს მოვლენა ხომ მართლა პატარაა იმ დიდ მიზანთან — საქართველოს გაერთიანებასთან შედარებით! მიზანთან, რომელიც სააკაძეს არ გააჩნდა; და რაკილა ამაზე დასაბუთებული პასუხი არ მოგეპოვებოდათ, ცდილობთ ცრუდეკლარაცია სიმართლედ გაასაღოთ, ჩემი მსჯელობის მთავარი აზრი მიჩქმალოთ და ტენდენციურად ამოგლეჯილ გამოთქმაზე დაყრდნობით აქეთ მომედავოთ.

გიორგი სააკაძის თაყვანისმცემელთა შორის მოიხსენიებდით ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელსაც, ჩემი სამოგზაურო ნარკვევის გასაქარწყლებლად მათი ავტორიტეტი მოიშველიეთ. არადა, რადგანაც სააკაძეზე ჩემი შეხედულება, პირველ ყოვლისა, მათი ნაწერების მიხედვით ჩამოყალიბდა ( და არა გვაროვნული ქიშპის გამო, რასაც თქვენ მომაწერთ ყავლგასული კლასობრივი თეორიის მომარჯვებით), არ გამჭირვებია თქვენი ამ ფანდის მხილება: სინამდვილეში ხომ ისინი სააკაძეს ეროვნულ გმირად არ აღიარებენ. ილია გაორებულ პიროვნებად მიიჩნევს, ხოლო აკაკი უფრო მკაცრია და უწოდებს: „მოღალატეს", „ქვეყნის დამღუპველს", „გაუკულმართებულ გზაზე მავალს", „სახსენებელწაწყმედილს".

ამის მიუხედავად, ვითომც აქ არაფერი, ისე მიპირისპირებთ ამ სახელებს თქვენი სტატიის ერთ ნაწილში!..

დიდება შენდა, ღმერთო!

მაგრამ თქვენც კი შეატყვეთ, რომ ძველებური აღარ გაგივიდოდათ და სტატიის მეორე ნაწილში ახლა უკვე მათი შეხედულებების გაუფასურება სცადეთ:

„... იყო კი გამოკვლეული სააკაძის ისტორია ძირფესვიანად ილიასა და აკაკის დროს?"

მოწყალებას იჩენთ, რა ექნათ, მათი არასაკმარისი ცოდნა მთლად მათი ბრალი არ იყოო. თითქოს ილიასა და აკაკის ვინმეს დახმარება სჭირდებოდათ ისტორიული მოვლენებისა და პიროვნებების გასააზრებლად. და კიდევ: განა მათ დროს არ ცხოვრობდა ანტონ ფურცელაძე, ვისი წიგნის მთავარი დებულებებიც ეჭვშეუვალ არგუმენტებადაა აღიარებული საბჭოური სააკაძეოლოგიისა და თქვენს მიერაც? თუკი იმან მიაკვლია ჭეშმარიტებას, ამათ რატომ ვერ მიაკვლიეს?..

რადგანაც აკაკი უფრო მკაცრია სააკაძის მიმართ, თქვენგან მეტ წყრომას იმსახურებს და გვიმტკიცებთ, რომ აკაკი: „დაბნეულია".

მაშ რა ეგონა, შერჩებოდა სააკაძეზე „მოღალატისა" და „ქვეყნის დამღუპველის" თქმა?..

თქვენთვის იოლია მკრეხელობაც და ცილისწამებაც, ოღონდ კერპი წმინდოთ და ხეხოთ:

ამიერ საქართველო თურმე ასაოხრებელი იყო (სააკაძის პოლიტიკა მოითხოვდა ასე), ლუარსაბ წამებული — მოსაკლავი. თეიმურაზ პირველი უმადურია. ვახუშტი ბაგრატიონი — გვაროვნული ქიშპითა და სიძულვილით შეპყრობილი. ბერი ეგნატაშვილი სააკაძის მოწინააღმდეგე პოლიტიკური დასის ზეგავლენის ქვეშაა და მიკერძოებულია. ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი საკმარისად არ იცნობენ სააკაძის ცხოვრებას. აკაკი თან დაბნეულიცაა. ივანე ჯავახიშვილიც გვაროვნული ქიშპისა და სიძულვილის მორევს ჩაუთრევია. დღემდე ამ მორევში არიან ბარათაშვილების, ციციშვილების, ვაჩნაძეების შთამომავალნიც. კონსტანტინე გამსახურდია XVII საუკუნის პირველი მეოთხედის დიდგვაროვანთა — სააკაძის აშკარა მტრების — პოზიციიდან აღიქვამს დიდი მოურავის პიროვნებას. ლევან გოთუას ვერ გაურკვევია, რომელი გადასახედიდან სჯობს ისტორიული მოვლენების გააზრება...

სულ არ ფიქრობთ, როცა წერთ?!

ასე როგორ გაწირეთ ყველა და ყველაფერი თქვენი პროპაგანდისტული წიგნის გადასარჩენად.

აქამდე გიორგი სააკაძის ცხოვრებას გვისახავდით ნიმუშად.

ახლა თქვენი ბიოგრაფიაც დაგვისახეთ.

სჯობდა ამას მაინც მორიდებოდით, ან ასეთი რიხისაგან შეგეკავებინათ თავი.

არ ვაპირებდი თქვენს პიროვნებაზე რაიმეს თქმას, ისევე, როგორც თავის დროზე თქვენს წიგნზე. მაშინაც თქვენ მაიძულეთ და გამომიწვიეთ და ამჯერადაც თქვენ მიწვევთ.

მხოლოდ ზოგიერთ — მეტისმეტად თვალშისაცემ — გარემოებას გავიხსენებ.

შესაფერის ჟამს თქვენც გადააგდეთ კომუნისტური პარტიის მანდატი და კონგრესს მიაშურეთ, მაგრამ როცა არჩევნებში „მრგვალმა მაგიდამ" გაიმარჯვა, ინანეთ და თქვენი ის ნაბიჯი იმით ახსენით: „ჯანმრთელობა იმის საშუალებას არ მაძლევდა, დღედაღამ გარეთ ვყოფილიყავი და შემესწავლა ეროვნული მოძრაობის სამზარეულოო". წესით პოლიტიკურ მრწამსს უნდა მიეყვანეთ ან იქ ან იქ, და არა „სამზარეულოს" ოხშივარის იმედად ყოფილიყავით, რათა დროზე გეკრათ სუნი, გამარჯვება ვის დარჩებოდა.

მარტო სინანული არ კმაროდა, ამიტომ თქვენ მალევე გამოეცალეთ კონგრესს, ხოლო იმხანად, როცა ეს პოლიტიკური ორგანიზაცია ხელისუფლების მძლავრ შეტევას განიცდიდა და, შეიძლება ითქვას, ფორმალურადღა არსებობდა, კიდეც ჩაწიხლეთ გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" ფურცლებზე გამოქვეყნებულ ინტერვიუში (1991 წლის 19 ივლისი): უწოდეთ არაჯანსაღი ოპოზიცია, რომელიც ვერ შეიცანით საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლად, რადგან ერთი პიროვნების სიძულვილით იყო შეპყრობილი... იმავე ინტერვიუში იმ პიროვნებას, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს, დითირამბები აღუვლინეთ:

„პირადად მე ძალზე ნიშანდობლივ და ბედნიერ შემთხვევად მიმაჩნია ის ფაქტი, რომ საქართველოს რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტს ბატონ ზვიად გამსახურდიას აქვს ღრმა და მრავალმხრივ საინტერესო მოსაზრებები საქართველოს მისიაზე. და რაც კიდევ უფრო ბევრისმეტყველია, ფიქრი ამ საგანზე მან დაიწყო არა ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდგომ... არამედ ბავშვობიდანვე. ნაფიქრი ხშირად გადაჰქონდა ქაღალდზე და უზიარებდა თავის ერს... და აი, ორსაუკუნოვანი ვაკუუმის შემდგომ სახელმწიფოს სტრუქტურაში თავისი დიდი ძალისხმევით მოვიდა კაცი, რომელმაც სახელმწიფოს პოლიტიკას საფუძვლად დაუდო ეროვნული მისია. დამსახურება მას სხვაც ბევრი აქვს. მთელი ეს ბრძოლის გზა, ეს საუკუნოვანი კომუნისტური დიქტატურის დამხობა, ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენისათვის თავგანწირული მეცადინეობა ყველა თავისი კონკრეტული შედეგით დიდი დამსახურებაა, რომელსაც ემატება ეროვნული მისიით „ალჭურვა".

სხვათა შორის ბ-ნი ზვიად გამსახურდია, ვის მიმართაც არ იშურებდით არანაირ აღმატებულ ეპითეტს, ასეთი აზრისაა გიორგი სააკაძეზე:

„როდესაც სააკაძის კულტზე ვსაუბრობთ, ნუ დაგვავიწყდება მისი გამომწვევი სოციალური და პოლიტიკური მიზეზები, რომლებიც ისტორიის საერთო ფალსიფიკაციას უდევს საფუძვლად, რაც ემსახურება სავსებით შეგნებულ მიზანს ჩვენში ეროვნული პარამნეზიის გამოწვევისას. თუ გსურს ერი ან ადამიანი გახრწნა და გადააგვარო, მას არა მხოლოდ უნდა დაავიწყო წარსული, არამედ უნდა გაუყალბო კიდეც იგი. თავისი ჭეშმარიტი გმირები ბოროტმოქმედებად და უნიათო კაცუნებად უნდა დაუსახო, მედროვენი და მოღალატენი კი — გმირებად" („წერილები, ესსეები", 1991, გვ. 563).

მაშინ კარგად გაუტერინდით ამ სიტყვებს!..

თუმცა განვაგრძოთ:

საკმარისი აღმოჩნდა პრეზიდენტის დამხობა და გაძევება კონგრესის აქტიური (თუ გადამწყვეტი არა) მონაწილეობით, რომ ახლა სახელმწიფო საბჭოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის წინაშე დაღვრილიყავით დითირამბებად:

„... ქვეყანას ბატონ ედუარდ შევარდნაძის სახით ჰყავს თანამედროვეობის დიდი პოლიტიკური მოღვაწე, ვისმა მასშტაბურმა საქმეებმა საქართველოში და საქართველოს საზღვრებს გარეთ, დიდად შეუწყო ხელი ქართველი ერის ბრძოლას თავისუფლებისათვის". ან: „... მხოლოდ უნიკალური პოლიტიკური და დიპლომატიური თვისებების ადამიანს შეეძლო გაეტარებინა ასეთი ბრძნული, სწორი, ერთადერთი და პროგრესული პოლიტიკა იმპერიის რღვევისა — დაემყარებინა „უმაღლეს დონეზე" სასურველი კონტაქტი რუსეთისა და სხვა პროგრესულ ძალებს შორის და საერთო ძალისხმევით დაეწყო „ბოროტების იმპერიის" დაშლა. იგი დიდი ხანია ეხმარება თავის ხალხს. რაღა პოლიტიკოსი იქნება, თუ ყველაფერი ცხადად განგვიმარტა, როდის ეხმარება და რით ეხმარება. ეს არც მომავალში ითქმება ერთბაშად. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია თვალი დავხუჭოთ და „ვერ შევნიშნოთ" ის გრანდიოზული შეწევნა, რაც მიიღო მისმა სამშობლომ „საქართველოს საზღვრებს გარეთ" დიდი პოლიტიკოსის მოღვაწეობით?"

თქვენ თუ გენდოთ მკითხველი, რანაირად შეიძლება გაიგოს, ვის გაუნთავისუფლებია საქართველო, ვის დაურღვევია საუკუნოვანი კომუნისტური დიქტატურა, ეს ბოროტების იმპერია, ვის გზას უნდა მიჰყვებოდეს ხალხი.

დამაფიქრებელი ისიცაა, რომ თქვენი ეს წერილი გამოქვეყნდა „საქართველოს რესპუბლიკის" 1992 წლის 7 მარტის ნომერში. ამჯერადაც დროულად დაგიჭერიათ თადარიგი, რადგან სწორედ ამ დღეს, საღამოხანს ჩამოფრინდა თბილისში ბ-ნი ედუარდ შევარდნაძე. ჩამოსვლა მაინც გეცლიათ!

თუმცა რას მოიცდიდით, ისე კარგად შეგითვისებიათ ცხოვრების ის „სიბრძნე", რაც კვაჭი კვაჭანტირაძის სატირულ სახეშიც განზოგადდა: „კვაჭი დარის გამოცვლას დროზე აულებდა ალღოს და ახალ ტანისამოსსა და კანს უმალვე გადაიცვამდა, საბრძოლველ იარაღს შეიცვლიდა, თავის ძალებს შესაფერისად გადააჯგუფებდა, ჩამავალ მზეს მიაფურთხებდა, ამომავალს მიესალმებოდა, დავრდომილს ჩასწიხლავდა და წამომდგარს თამამად დაუდგებოდა გვერდით".

ასეთია თქვენი პოლიტიკური ფიზიონომია და აზროვნების სისტემა!

თქვენ კი უნდა გიყვარდეთ და იდეალად წარმოგედგინოთ გიორგი სააკაძე!... და კიდევ: ვინც ვერ გარკვეულა, რა მოხდა აგერ ჩვენს თვალწინ, რანაირად შეიძლება ერკვეოდეს, რა ხდებოდა ოთხი საუკუნის წინათ.

ᲓᲐᲕᲨᲗᲔᲑᲘ ᲙᲕᲐᲚᲐᲓ
ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ.

# აფხაზეთის სამთავროს წარმოშობის საკითხისათვის

## არსებობდა კი აფხაზთა სამთავრო XVII–XVIII საუკუნეებში?

აბესალომ ტუღუში

ცნობილია, რომ XVII საუკუნის მეორე ნახევარში და XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში დასავლეთი საქართველო ბოლომოუღებელი ფეოდალური შინაომების ასპარეზს წარმოადგენდა. ამით ისარგებლეს აფხაზმა ფეოდალებმა და დაიწყეს ოდიშის სამთავროზე ერთობლივი თავდასხმები. იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოზი (1641—1701). რომელმაც იმხანად ჩვენს ქვეყანაში იმოგზაურა, გულისტკივილით წერდა, რომ აფხაზებმა გაანადგურესო მთელი სამეგრელო ცხუმიდან (დიოსკურიიდან) ცხენისწყლამდე **(М. Селезнев, Руководство к познанию кавказа, СПБ 1888, стр 46).**

აფხაზთა მარბიელი რაზმები მიწასთან ასწორებდნენ სოფლებს, ძარცვავდნენ ტაძრებს, იტაცებდნენ ჰირნახულს და ტყვედ მიერეკებოდნენ ათასობით მეგრელ გლეხკაცს, ქალებსა და ბავშვებს, რათა შემდეგ თურქი მონათვაჭრებისთვის გაეცვალათ მარილზე და თოფის წამალზე...

„მერმეთ აფხაზის ლაშქარი მოვიდა, ტაძარს მოუხდა და ჩვენ დიდსა დაჭირვებასა და შიშსა ქვეშე შევვარდითო" — გვაუწყებს XVII საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწე ქალი ანიკა ქორთოძე (ქორთუა) ცაიშის სახარების მინაწერში **(თ.ჟორდანია. ქრონიკები.II.ტფ.-1897.გვ.467).**

ლევან III დადიანი, ოდიშის გულღრძო მთავარი ვერაფერს გახდა, აფხაზთა თარეშის ალაგმვა ვერა და ვერ მოახერხა.

„სამეგრელო სამეგრელო აღარ არის, რადგან ომის გამო უკანასკნელ სიგლახაკეშია ჩავარდნილი... ახლა კაცს არ შეუძლია უშიშრად იყოს. მუდამ აფხაზების დაცემის შიშია, რადგან აქაურობას ხშირად იკლებენო" — წერდა სამეგრელოს კათოლიკური მისიონის პრეფექტი, შესანიშნავი იტალიელი მოღვაწე ჯუზეპე ძამპი 1674 წელს (მ.თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ.1902.გვ.205).

ვახუშტი ბაგრატიონიც (1696—1757) მსგავს სურათს გვიხატავს. „გარნა იყო ჰირი დიდი ოდიშს... და უმეტეს აფხაზთაგან, რამეთუ მოვიდოდიან ნავებითა და ხმელითა და სტყვევნიდიან. დაიპყრეს ვიდრე ეგრისის მდინარემდე და დაეშენებოდნენ თვით აფხაზნი"... **(ქ.ცხ.IV.გვ.845).**

თუკი მეგრელ-აფხაზთა ეთნიკური საზღვარი XVII საუკუნის 60-იანი წლების დამდეგისათვის მდინარე კელასურზე (უფრო ადრე კი ბევრად ჩრდილოეთითაც) გადიოდა, XVII საუკუნის მიწურულისათვის მან უკვე მდინარე ღალიძგამდე გადმოინაცვლა (თუმცა ღალიძგას ჩრდილოეთით მეგრელების სრულად ასიმილირება აფხაზებმა მაინც ვერ შეძლეს).

მიუხედავად ესოდენი ლაგამაწყვეტისა აფხაზური სათავადოები და თემები XVIII საუკუნის მიწურულამდე ოდიშის მთავრის ხელდებულებს წარმოადგენდნენ (მანუჩარ შარვაშიძის გამოთქმა რომ ვიხმაროთ იყვნენ დადიანზე „ზედმოკიდებულნი").

XVIII საუკუნის დამდეგს, ვახუშტის ცნობით, იმერეთის მბრძანებელ გიორგი აბაშიძეს ოდიშის მთავარმა გიორგი დადიანმა (1701—1709) „აფხაზთა ზედა შეწევნა თხოვა, „რამეთუ მიელოთ აფხაზთა ეგრისის მდინარემდე და აოხრებდნენ ოდიშს კვლითა და ტყოებითა". გიორგი აბაშიძე თავისი და ოდიშის სამთავროს ჯარებით აფხაზეთში შეიჭრა. ვერ წინააღუდგა შარვაშიძე". აფხაზები იძულებულნი გახდნენ დაეთმოთ დაპყრობილი მიწები („მეფემ გამოუხუნა ქვეყანა მილებულიო" — წერს ვახუშტი) და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გამოართვა მძევლები. ეს კი ნიშნავს, რომ აფხაზეთი კვალავ ეყმო ოდიშის მთავარს. აფხაზური სათავადოები და თემები XVIII საუკუნის მეორე ნახევარშიც, ოდიშის მთავრის მოხარკეები იყვნენ. სამეგრელოს დედოფალ ნინო ბაგრატიონის ცნობით აფხაზებს „კაცია დადიანი... ახდევინებდა ხარკსა" (Акты...III. გვ.201): ეტყობა, სწორედ დადიანის ბატონობისაგან თავის დაღწევას ისახავდა მიზნად აფხაზთა მიერ 1779 წელს სამეგრელოს წინააღმდეგ მოწყობილი დიდი ლაშქრობა, რომელიც რუხთან გამართულ ბრძოლაში მათი სასტიკი მარცხით დამთავრდა.

ის, რომ აფხაზეთზე სამეგრელოს სამთავროს გავლენა XVIII—XIX საუკუნეთა მიჯნაზეც კი ძალიან დიდი იყო, რუს მკვლევარებსაც არ დარჩენიათ შეუმჩნეველი. მაგალითად ა.დიაჩკოვ-ტარასოვი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ **Сильной централизованной власти предстояло объединение Абхазии, Однако невысокая культура дворян, влияние Мингрелии на дела Абхазии с одной стороны и Турции с другой сделали то что централизованной властью явилась Русская власть (А. Дьячков-Тарасов, Абхазия и Сухум в XIX столетии ИКОИРГО том XX (1909-1910) №2 стр 150-151)**

არათუ ზღვისპირა, შედარებით თვინიერი აფხაზური სათავადოები, მთის აფხაზური თავნება თემებიც კი ოდიშის მთავრის ხელდებულად თვლიდნენ თავს. ლევან V დადიანისათვის (1810—1840) წებელდის ბატონების —მისოუსტ სარალუფუ და ზერეფსუ მარშანიების მიერ მიცემულ ფიცის წიგნში, ვკითხულობთ:

**„ჩვენ, ქვემო ხელის მომწერელნი, წებელის თემის ბატონები თავადი მარშანიები მოგართმევთ ამ წერილს, თქვენს უგანათლებულესობას, მთავარს დადიანს ლეონს, ახე და ამა პირსა ზედა, რომ ჩვენ მამაპაპით თქვენის მამა-პაპის თუმცა მორჩილები და ერთგულები ვიყავით, მაგრამ რომელმან შემთხვეულმან შფოთებმა დაშორებულ ვიქმენით ერთმანეთისაგან და აწი გინებებიათ ჩვენი თქვენდა მახლობლობა და პირველისამებრ სიყვარული და წყალობა განვიახლეთ და ჩვენ რწმუნებული ვართ ამ თქვენის ჭეშმარიტის სიტყვითა ჩვენთა დაჯერებას და ჩვენც ვფიცავთ ამას წმინდას ალყურანსა ზედა ესრეთ, რომელ პირველ ყოველთასა ვიქმენით არა რაისამე შინა წინაალმდგომ მისის დიდებულების რუსეთის ხელმწიფისა... და მისგან დაწესებულთა ამა მხარეთა მმართებელთა საშუალებითა თქვენითა (აქტი.V. გვ.507).**

როგორც ვხედავთ, აქ მარშანიები ლაპარაკობენ მათთვის ოდიშის მთავრის მიერ წყალობის განახლებაზე და რუსეთის მფარველობაში ოდიშის სამთავროს მეშვეობით შესვლის სურვილზე, რაც უტყუარი მამტკიცებელია იმისა, რომ წებელდაც კი XVIII საუკუნის მიწურულამდე ოდიშის მთავრის ყმად თვლიდა თავს. სწორედ ამიტომ, შემთხვევითი არ არის ის, რომ ვახუშტი ბაგრატიონის მიერ 1735 წელს შედგენილ საქართველოს რუკაზე ოდიშის სამთავროსა და აფხაზეთს შორის საზღვარი, ანაკოფიის ზემოთ, სადღაც მდინარე აფსტას მიდამოებშია დადებული. საკუთრივ აფხაზეთად კი იწოდება ამ მდინარის ჩრდილოეთით მდებარე მიწა-წყალი.

ამრიგად, ირკვევა რომ XVIII—XIX საუკუნეთა მიჯნამდეც კი, აფხაზეთი, როგორც ეთონოსოციალური ერთობა, დაშლილი რამდენიმე სათავადოდ და თემად, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად არა თუ ეურჩებოდა, სამეგრელოს მთავარს, არამედ შეტევაზეც გადმოდიოდა, და მეგრელთა კუთვნილ მიწებსაც იტაცებდა და აქ მკვიდრდებოდა, მაინც ოდიშის მთავართა ხელდებული იყო და გარკვეულწილად აღიარებდა კიდეც მის ხელისუფლებას, რაც მისთვის ხარკის გადახდაში გამოიხატებოდა.

ოდიშის მთავრის ყმობიდან გასვლა, თავისთავად, სულაც არ ნიშნავდა დამოუკიდებელი აფხაზური სამთავროს ჩამოყალიბებას. ამისათვის აუცილებელი იყო, რომ არსებულიყო ცენტრალიზებული ხელისუფლება (ერთხელმწიფება), შესაბამისი სახელისუფლო ნიშნებით აღჭურვილი და საკადრისი ტიტულატურის მატარებელი ხელმწიფე და სამთავრო კარი, მისთვის დამახასიათებელი სამოხელეო აპარატით.

ვნახოთ, რა მდგომარეობა იყო ამ მხრივ XVII—XVIII საუკუნეთა აფხაზეთში. პირველ რიგში, უნდა გავარკვიოთ, იყო თუ არა აფხაზეთი ამ დროს ერთიანი პოლიტიკური ერთეული, ჰყავდა თუ არა მას ერთმმართველი, მთელი აფხაზეთის თვითმპყრობელი გამგებელი და თუ ჰყავდა რა უფლებებით იყო ის აღჭურვილი.

იტალიელი მისიონერის ჯოვანი ჯულიანო და ლუკას ცნობებიდან ირკვევა, რომ 1630 წელს აფხაზებს ყოლიათ ორი „მთავარი" — კარაბეი,* რომელიც მაკალაში (Mokala) იჯდა და პუტო,** (ი.ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში. III.თბ.1987.გვ.169).

XVII საუკუნის პირველი ნახევრის აფხაზეთის პოლიტიკური რუკის შესასწავლად მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული იტალიელი მხატვარ-მისიონერის ქრისტეფორო დე კასტელის (1597—1659) ალბომში. ამ ცნობების სანდოობა ეჭვს არ იწვევს, რადგან ქრისტეფორო დე კასტელი, რომელმაც 1628 წლიდან 1654 წლამდე იმოღვაწა საქართველოში (კერძოდ სამეგრელოში), შესანიშნავად იცნობდა თავისი თანადროული სამეგრელოსა და მისი მეზობელი ქართული კუთხეების პოლიტიკურ ცხოვრებას.

ერთერთ ქაღალდზე, რომელზედაც, როგორც ჩანს მხატვარს აფხაზი დიდებულის დახატვა ჰქონდა განზრახული, ასეთი ლათინური მინაწერია: „ეს არის აფხაზეთის (Abaz) მთავრების (Principis) — სამი ძმის სურათი. უფროსს ჰქვია დონ ბასლაკუსი (Don Baslakus), მეორეს სალამონი (Salamon) მესამეს და უკანასკნელს სეტემანი (Seteman)" (ქრისტეფორო დე კასტელი. ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ. თბ. 1977.გვ.171.სურ.439).

ამგვარივე მინაწერია ერთ სხვა, ასევე დაუხატავ ქაღალდზე. ოღონდ უკვე იტალიურ ენაზე; „ეს სამი რაინდი აფხაზეთის ის მთავრები არიან, რომელთაც მოგვცეს უმშვენიერესი ეკლესია" (იქვე.გვ.192.სურ.544).

აქ რომ არავითარ გაუგებრობასთან არა გვაქვს საქმე და ძმები ბესლაკო, სოლომონ და სეტემან შარვაშიძეები, ... მივენი ... დამო... კიდებელი „მთავრები" იყვნ... კარგად ჩანს, თითოეულ მ... განზე ქართულ და უცხო... წერილობით წყაროებში და... ლი ცნობებიდანაც.

დე კასტელის ერთერთ ხატზე გამოსახულია ჯვარის მ... ნიკიფორე ჩოლოყაშვილ... (1585—1657) წინაშე დაჩოქ... ბესლაკო შარვაშიძე. ამ ნახა... ზემო არშიაზე არსებულ ი... ლიურ მინაწერში გარკვევ... იკითხება: **Beslaco Scara... Principe de la Aba...** (ბესლაკო შარაშია, მთავ... აფხაზეთისა). ამრიგად, ირკ... რომ ბესლაკო შარაშია ნ... ფორე ჩოლოყაშვილის ჯვ... მამობის (1643—1649) დროინ... ლი მოღვაწე ყოფილა ... ვე.გვ.171).

ამავე ალბომში და... ერთ სხვა ნახატზე შემორჩენ... მინაწერიდან კი ირკვევა, ... ბესლაკო შარვაშიძის (მეგ... ლად შარაშიას, სამეგრელოს... ყოფილა მოქცეული ბიჭვ... **(Pecota)** ეს კი იმაზე უთით... რომ ის ზუფუს (ბზიფის ... ხაზეთის) გამგებელი იყო ... ვე.გვ.177)

სეტემენ შარვაშიძეც „... ვრად" **(Principe)** მოხსენიებული დე კასტ... ალბომში შესული მისი პ... რეტის იტალიურ მინაწ... რომლის ჩვეული თარ... ასეთია: „აბხაზთა გამოჩ... წინამძღოლი. მეგრელებზ... რო სასტიკი ტომის, აფხა... წინამძღოლის, თავადის ... დარეჯანის მამის, — სეტ... პორტრეტი".

აფხაზეთის „მთავრად" ... ხსენებს ლევან II დად... სიმამრყოფილს — სეტემა... რვაშიძეს ფრანგი მოგზაური ... შარდენიც, რომელიც 1672 ... ეწვია ჩვენს ქვეყანას ... შარდენის მოგზაურობა, ... გულიდან თარგმნა... მზია ... ლობლიშვილმა. თბ.1975.გვ...

რაც შეეხება სოლ... **(Salaman)** შარვაშიძეს, ბესლაკო და სეტემან შარ... ძეების ტოლი ხელისუფალ... იყო კარგად ჩანს ... ამირაშვილ-ხითარიშვილის ... მოთ დამოწმებული ცნობ... სწორედ მისი ასული ... ჰყოლოდა ცოლად გიორგი ... უსტან) ლიპარიტიანს — ... ვამეყ III დადიანისა ... კასტელი. ცნობები და ალ... გვ.80).

ამრიგად, ქრისტეფორ... კასტელის ალბომის მინაწ... მიხედვით აფხაზებს ერთდ... ლად სამი „მთავარი" ძმების — ბესლაკო, სოლ... და სეტემან შარვაშიძეთა ...

1640 წელს აფხაზეთში ... გზაურა თურქმა მოღვაწ... ლია ჩელებიმ (1611—1683... ხაზების შესახებ მისი ცნ... ღირებულებას ზრდის ის ... მოება, რომ ის დედით ... იყო და ცხადია კარგად... ყოფილიყო გაცნობილი ... ლეთის სოციალურ და ... ტიკურ ურთიერთობებს ... აფხაზეთის მისეული აღწ... ბიდანაც ჩანს (არცერთ... ქვეყანა მას ესოდენ დაწ... ბით არ აღუწერია).

ევლია ჩელების თქმ... ხაზეთი (ანუ როგორ... უწოდებს აბაზას ქვეყ... დაჭიმულია მდინარე ... ანაპის ციხემდე. აფხაზ... მოლდაათი ტომისა დ...

---

* ვფიქრობ სწორედ ეს უკანასკნელი უნდა ასახავდეს უფრო ზუსტად აფხაზი დიდებულის სახელის ადგილობრივ ჟღერადობას. ეს უნდა იყოს აფხაზურ ონომასტიკონში დაცული სახელი ბუთ/ბუთო, შემონახული გვარსახელში ბუთბა

** ეს სახელიც დასტურდება აფხაზურ ონომასტიკონში (შდრ.გვარსახელი კარბა/ კარბაი. ამიტომ მას არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონდეს თურქულ ყარაბეისთან

შედგებიან. ევლია ცალ-
ა აღწერს ყველაზე მნიშ-
ვან 25 აფხაზურ ტომს
რეულოს) რომელთა სახე-
ი (ჩაჩი, არლანი, ჩანდი,
გეჩი, ართი...) აფხაზურ
სტიკონში მეტნაკლებად
ულ მკვლევარს არ გაუ-
ბა აფხაზურ საგვარეულო
თა ამოცნობა (ჩაჩბა, ჰა-
გეჩბა...).
მ ცნობიდან აშკარაა, XVII
ნის შუა ხანების აფხაზე-
ერთმანეთისაგან დამოუკი-
ლ ისეთ წვრილ-წვრილ
ალურ სამფლობელოთა და
ა არსებობა, რომელთა
ეშიც მძლავრი საგვარეუ-
სახელები იდგნენ. ამაზე
ებენ აგრეთვე ევლია ჩე-
ს თანამედროვე ოსმალო
რიკოსის მუსტაფა იბნ
ლაჰის (1609—1657) ანუ
ბ ჩელების ცნობებიც. აფ-
ბეგებს, მისი სიტყვით, იმ
ლების სახელები ჰქვიათ,
ებსაც ფლობენ. ის ასახე-
აჩვია ბეგს სოუკ-სუდან
ლიხნიდან), რომელიც ცხა-
შარვაშიძე უნდა იყოს.
ლებს კიდევ ორ აფხაზ
— ჯუმთა ბეგს და გეჩი
(ალბათ გეჩბას), და ექვს
ლობელოს თუ თემს —
ს, რომელსაც კალარ-დერ-
ს (გაგრის კარს) უწოდებს;
ნთას, რომელიც ბუჩინდე-დ
მოხსენიებული, ტამიშ,
ს, სუბეშ და მამაი კაიას
ბ ჩელების ცნობები საქა-
ლოს შესახებ. თურქული-
თარგმნა...გიული ალასანი-
.1 978.გვ.1 1 3).
როგორც ვხედავთ, მუსტაფა
აბდულაჰიც მრავალ სათა-
დ (საბეგოდ) და თემად
ოლ აფხაზეთს გვიხატავს.
განსაკუთრებით საყურად-
ა ამ ოსმალო ისტორიკო-
კიდევ ერთი ცნობა, კერძოდ
ა ცხუმის ჩრდილოეთით
თას ვალაიეთის" არსებო-
შესახებ (იქვე.გვ.133).
ობითა უეჭველად ტოპონიმ
ლდის თურქულად გადმო-
ა ცდაა. მაშასადამე, ამ
ქული წყაროს მიხედვით,
საუკუნის შუა ხანებში
ლდა ცალკე პოლიტიკური
ული (ვილაიეთი) ყოფილა.
XVII საუკუნის მეორე ნა-
რშიც აფხაზეთში რამდენიმე
ანეთისაგან დამოუკიდებე-
და ხშირად ერთმანეთს
მტერებული სამფლობელო
თემი დასტურდება.
XVII საუკუნის 70-იანი
ში, როცა აფხაზმა ფეო-
ებმა განსაკუთრებული მი-
წრაფულობით შეუტიეს მე-
ლ მეგრულ სათავადოებს,
სათავეში, როგორც ამ
ის თვითმხილველ იტალიელ
ნერთა მოხსენებებიდან
ერთდროულად დგანან
ბ სუსტარის ძე შარვაშიძე
მისი ბიძაშვილი ყვაპუ
ყის ძე შარვაშიძე.
გეტანო ტურკო, რომელიც
რელოში 1679 წლიდან
ლამდე (1699 წლამდე)
მწეობდა და ჯუზეპე ტო-
ლი, რომელმაც ასევე სამე-
ლოში ჰპოვა სამუდამო გა-
ვენებელი (1700 წ.), 1686
16 მაისს გაგზავნილი
ლით ვატიკანს ატყობინებ-
რომ სორეხ შარვაშიძე
ech Sarassia) სამეგრე-
ერთ ნაწილს დაეპატრონა.
ნ ერთად ამ სამფლობე-
განაგებსო მისი ბიძაშვილი
შარვაშიძე (Quappo
ssia) (მ.თამარაშვილი,

ისტორია კათოლიკობისა...გვ.208—209).

საყურადღებოა გაეტანო ტურკოსა და ჯუზეპე ტორიჩელის ამ წერილში დაცული ცნობაც იმის შესახებ, რომ იმ რაღაც უსიამოვნობისა გამო, რომელიც სორეხ შარვაშიძეს თავის ნათესავთან, აფხაზების „მთავართან" მოუხდა, მის სამფლობელოს აფხაზები შემოესივნენ და ააოხრესო (იქვე.გვ.210).

როგორც ვხედავთ, აფხაზი ფეოდალები სამხრეთის მეზობლებზე ერთობლივ თავდასხმებსაც ახორციელებდნენ ხოლმე, მაგრამ მათი ეს ნადავლის ხელთ გდების სურვილით გაპირობებული მოკავშირეობა, ისეთივე მეყსეული იყო, როგორც ამ ალაფს დახარბებულთა თავდასხმები კელასურს სამხრეთით მცხოვრებ მეგრელებზე. აფხაზთა ამდროინდელი საზოგადოებრივი განვითარების დონის დადგენის თვალსაზრისით ეს ფრიად მნიშვნელოვანი მომენტია, რადგან აშკარად ჩანს აფხაზებში ცხოვრების ისეთი წესის დომინირება, რომელიც შეუთავსებელი იყო მოწესრიგებული, ერთიანი ფეოდალური სახელმწიფოს პირობებისათვის.

XVII საუკუნის მეორე ნახევრის აფხაზეთში, გვიანდელი საისტორიო და ფოლკლორული წყაროებითაც მრავალ „მთავრიანობა" დასტურდება. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა XIX საუკუნეში ჩაწერილი ორი საისტორიო გადმოცემა, სამურზაყანოს შესახებ.

1866—1870 წლებს შორის გენერალ კ.მუხრანელ-ბაგრატიონის მიერ შედგენილ ჩანაწერებში დაცულ საისტორიო გადმოცემაში ნათქვამია, რომ სამურზაყანო იმხანად ჯერაც სამეგრელოს ნაწილს წარმოადგენდა. მხოლოდ აფხაზეთის მთავარმა ჯიქეშია შარვაშიძემ წაართვა ის დადიანს და სამფლობელოდ უბოძა თავის ძმას — ყვაპუს, რომლისგანაც მომდინარეობენ ყველა დღეს სამურზაყანოში მცხოვრები შარვაშიძეები **(Документы по истории Грузии (1862-1917) т. 1, ч. 1, ред. Ш. Чхетиа, Тб. 1954, стр. 525)**

მეორე გადმოცემის მიხედვით, რომელიც თავის დროზე მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვისათვის (1782—1856) წარმოდგენილი ერთი წერილიდან გადმოუწერია თეიმურაზ ჰიჭინაძეს, აფხაზთა მთავრის ზეგნაყ შარვაშიძის შვილებს როსტომ, ჯიქეშია და ყვაპუ შარვაშიძეებს ერთმანეთს შორის დაუნაწილებიათ ბზიფსა და ენგურს შორის მოქცეული მიწაწყალი. „უხუცესს როსტომს დაუპყრია თავის წილად პირველი ადგილი აფხაზეთსა შინა-მდებარე ბზიფიდან დაწყებული მდინარე კოდორამდე, საშუალო ძმას ჯიქეშიას მდინარის კოდორიდან ღალიძგამდე, რომელსა საზღვრებსა დღესა ეწოდების აფხაზურის ენაზედ აბჟუაა, ესე იგი შუა ქვეყანა ანუ სოფელი. ხოლო უმრწემესსა ძმასა ყვაპუს მდინარე ღალიძგადან მდინარე ენგურამდე" — ნათქვამია ამ გამოცემაში **(თ.ჭიჭინაძე, საქართველოს ისტორიის მასალა. გაზ. „კვალი". 1897. №20.გვ.393—394).**

ამ საისტორიო გადმოცემის, როგორც წყაროს მონაცემების სანდოობას გვკარნახობს ის გარემოება, რომ მასში დასახელებული და სხვა წყაროებისათვის უცნობი ცხუმის ციხის მფლობელის როსტომ შარვაშიძის პიროვნების ნამდვილობა დასტურდება ერთი თურქული წყაროს ცნობითაც, საიდანაც ჩანს, რომ ჰიჯრის 1135 წელს შეესაბამება, ცხუმის ციხის მფლობელად მოხსენიებულია როსტომ-ბეგის ძმისშვილი გიორგი (ქათიბ ჩელების ცნობები...გვ.134).

მაშასადამე, XIX საუკუნის შუა ხანებში ჩაწერილი საისტორიო გადმოცემებიც, რომელთა ცნობებისადმი არნდობის არავითარი საფუძველი არ გაგვაჩნია, კიდევ ერთხელ ადასტურებენ XVII საუკუნის მეორე ნახევრის აფხაზეთში სამი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სამფლობელოს არსებობას.

XVIII საუკუნის პირველ ნახევარშიც ამგვარი მდგომარეობაა. და ეს კარგად ჩანს ისევ და ისევ უცხოური წყაროების მონაცემებიდან.

ამ წყაროთაგან პირველ რიგში აღსანიშნავია 1729 წელს ჩერქეზეთში ნამყოფი იტალიელი მოგზაურის კსავერიო გლავანის ცნობები. ის წერს, რომ სუჯუკიდან სამეგრელომდე ცხოვრობსო 24 აფხაზი ბეი **(К. Главани, Описание Черкесии. 1729. Тифл. 1893, стр 44)**

ნიშანდობლივია, რომ ზუსტად იმავჟამინდელი თურქული წყაროს **Muhime defteri**-ს ცნობითაც აფხაზებს, რომელთა სათავეშიც ცხუმში მჯდომი „აბხაზთა ბეგად" სულთანის მიერ დანიშნული მოხელეა, 24 ბეი ყავთ. ამ წერილის მიხედვით მთიელთა წინააღმდეგ ლაშქრობაში მონაწილეობის მიღებაზე დათანხმებისათვის ჯილდოდ ცხუმის ციხეში მჯდომ ბეგსა და კიდევ 24 აფხაზ ბეის სულთანმა ხალათები გამოუგზავნა **((Ismail Hakki uzunsarsili, Osmanli Tarahi, IV. cilt. 2 kizim, XVIII yuzeil, Ankara)**

როგორც ვხედავთ, კსავერიო გლავანისა და **Muhime defter**-ის მონაცემები კიდევ ერთხელ ამაგრებენ ევლია ჩელებისა და სხვა ავტორთა მიერ დახატულ სურათს საგვარეულო სამფლობელოებად დაყოფილი აფხაზეთისა.

მდგომარეობა არ შეცვლილა აფხაზეთში XVIII საუკუნის მეორე ნახევარშიც. რაც თვალნათლივ ჩანს როგორც თანადროული ასევე XIX საუკუნის დამდეგის ქართული და უცხოური წყაროებიდან.

მ.პეისონელი, რომელიც 1750—1762 წლებში იკვლევდა შავიზღვისპირეთის სავაჭრო ურთიერთობებს, აფხაზეთის შესახებ წერს:

„ამ ქვეყანაში ხონთქარი ნიშნავს თავის ბეგს, რომელსაც აფხაზების ბეგს უწოდებენ, მაგრამ ის ყოველგვარ ხელისუფლებას მოკლებულია და მხოლოდ სახელი აქვს უფროსისა. ბეგის ადგილსამყოფელი სოხუმშია. ამ ადგილის მთავარი უფროსი შავიზღვისპირეთის ფაშაა, მაგრამ აფხაზები არც მას და არც თურქეთის ბეგს არ ემორჩილებიან და მათი დამორჩილება და მოთოკვა მხოლოდ ძალას შეუძლია" **(М. Пейсонель. Исследование торговли на черкесско-абхазском берегу Чёрного моря в 1950-1962 гг. Краснодар, 1927, стр 29.)**

მართლაც, მას შემდეგ რაც 1578 წელს თურქებმა ცხუმში ციხე-სიმაგრე თურქულად სუხუმ-კალე) ააგეს თურქეთის მიერ დანიშნული „აფხაზთა ბეგის" ხელისუფლება ცხუმის ციხის კედლებს და მის ახლო შემოგარენს არ გასცდენია.

აფხაზები არასოდეს შერიგებიან თურქთა ბატონობას. ისინი მოსვენებას არ აძლევდნენ დამპყრობლებს. ერთიანი ძალებით აჯანყებას აჯანყებაზე აწყობდნენ, მაგრამ საკმარისი იყო მტერი განედევნათ, რომ იწყებოდა ძმათა მკვლელი ბრძოლები როგორც ცალკეულ აფხაზურ ფეოდალურ საგვარეულოებს შორის ასევე, შარვაშიძეთა საგვარეულოს სხვადასხვა სახელებსა და თვით ერთი სახლის შვილებს შორისაც კი.

გერმანელი მოღვაწე იაკობ რაინგსი, რომელიც XVIII საუკუნის 80-იანი წლების დამდეგს მსახურობდა საქართველოში, გვაწვდის უაღრესად საყურადღებო ცნობებს ამ დროის აფხაზეთის პოლიტიკური ცხოვრების შესახებ. მისი ცნობით 1771 წელს აფხაზები აჯანყებულან და ცხუმის ციხე-სიმაგრიდან თურქები განუდევნიათ. აჯანყების თავკაცები ყოფილან ძმები ლევან და ზურაბ შარვაშიძეები, მაგრამ დამპყრობლების განდევნის შემდეგ, ძმებს შორის შუღლი ჩამოვარდნილა.

ზურაბ შარვაშიძეზე, ი.რაინეგსი წერს, რომ „ეს უკანასკნელი, რომელიც ყველა აფხაზს უყვარს, ახლაც სრულიად დამოუკიდებელია", ლევან შარვაშიძე „რომელსაც რამდენიმე სოფელი და სოხუმი შერჩა" თურქებს შეუთანხმდა და ოცი ქისას (იგივე 6000 მანეთის) წლიური საზღაურის ფასად გადასცა სოხუმის ციხე იანიჩარებს. მაგრამ თურქებს ის მხოლოდ 3 წელი ეკავათ. ამიტომ მათ მიერ მიტოვებულმა ლევან შარვაშიძემ, რომელსაც ხალხის რისხვისა ეშინოდა, ანაკლიის ციხეს შეაფარა თავი. აქ გაიგო ქელეშ-ბეის მიერ მისი ციხის დაკავების სამწუხარო ამბავი. იგი ამჟამადაც საკმაოდ მშვიდად ფლობს მას" **(J, Reineggs, Allgemeine Historisch - Topografische beschreibung der Kaukasus, II, spb. 1797, p. 8)**

ამ წყაროდან გარკვევით ჩანს, რომ ზურაბ შარვაშიძე, რომელიც ბზიფის აფხაზეთის მმართველია და ლევან შარვაშიძე, რომელიც ცხუმსა და მის შემოგარენში ბატონობს, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელნი არიან.

XVIII საუკუნის 70-იან წლებში რომ აფხაზეთში არანაირი ცენტრალიზებული სახელმწიფოს ხელისუფლება არ არსებობდა კარგად ჩანს გერმანელი მეცნიერის იოჰან გიულდენშტედტის (1745—1781) ცნობიდანაც. ეს უაღრესად დაკვირვებული მკვლევარი, რომელმაც 1771—1772 წლებში იმოგზაურა ჩვენს ქვეყანაში, აფხაზების შესახებ წერს, რომ ისინი „ახლაც ერთიანი მმართველის გარეშე არიანო" **(ი.გიულდენშტენდტი, მოგზაურობა საქართველოში. ტ.II. გერმანულიდან თარგმნა... გია გელაშვილმა. თბ:1962. გვ.123)**

მართალია ი.გიულდენშტედტი თვით აფხაზეთში არ ყოფილა, მაგრამ იმდროინდელი აფხაზების ყოფაზე, ენაზე და რწმენა-წარმოდგენაზე იმდენ უეჭველ ინფორმაციას იძლევა თავის წიგნში, რომ ძნელია დაეჭვდე მისი ამ ცნობის ნამდვილობაში, მით უფრო იმ მასალების შუქზე, რომელიც ზემოთ დავიმოწმე და რომლებსაც აწი გავეცნობით.

1779 წელს დამდეგს „აფხაზნი და თურქნი ურთიერთ შეითქვნენ" და მოულოდნელად სამეგრელოს საზღვრებს მოადგნენ. კაცია II დადიანმა დახმარებისათვის იმერეთის მეფეს, სოლომონ დიდს მიმართა, რომელმაც სასწრაფოდ შეჰყარა ლაშქარი და ოდიშართა ლაშქართან ერთად შეება აფხაზთა და მათ მოკავშირეთა ჯარებს, რომელშიც 12 ათასი მებრძოლი იყო.

აღწერს რა სამეგრელოზე ამ ლაშქრობისათვის აფხაზთა მზადებას, რუხის ბრძოლის უშუალო მონაწილე, პოეტი ბესიკი წერს:

„მართ ჰგვანდა ნდომა აფხაზთა და ცუდნი გამორჩევანი,
ბექირ-ბეგს ასტეხს ქელეშ-ბეგ და ზურაბს აღძრავს ლევანი,
ოთხივე ძმანი შეითქვნეს, შარვაშიძენი მძლევარნი,
დესპანთა ფრენით მოიხმეს ლაშქარი ქვეყნის მგრევანი". (ბესიკი თხზულებანი. თბ.1962.გვ.123.)

აქ საკმაოდ მკაფიოდაა დახატული ერთმმართველ ხელისუფალს მოკლებული აფხაზეთი. მეზობელ სამთავროზე ლაშქრობის მოწყობის შესახებ გადაწყვეტილების ერთპიროვნული მიმღები ხელისუფალი (ანუ ისეთი ხელისუფალი, რომელსაც ჯარის ბრძანებით შეყრა ძალუძს) აფხაზებს . ამ დროს არ ჰყოლიათ. ბესიკის ამ სიტყვებიდან აშკარად ჩანს, რომ ეს იყო ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ წვრილ-წვრილ აფხაზურ სამფლობელოთა ერთობლივი ლაშქრობა, რომლის მოწყობისათვის აუცილებელი ყოფილა ყოველი მათგანის დარწმუნება („ბეგის ბეგს ასტეხს ქელეშ-ბეგ და ზურაბს აღძრავს ლევანი").

XVIII საუკუნის ბოლო მეოთხედისა და XIX საუკუნის პირველი მესამედის აფხაზეთის პოლიტიკური ცხოვრების შესანიშნავი მცოდნე, ისტორიკოსი ნიკო დადიანიც (...1780—1834) რუხის ომის აღწერისას ამგვარსავე სურათს გვიხატავს.

„ჟამსა ამას ფლობდნენ აფხაზეთს შარვაშიძენი ზურაბ, ქელაიშ აჰმედ-ბეგ და ბექირ-ბეგ. ამათ შეკრიბნეს ჯიქნი, ალანნი, ზუხუ და მაშუმა და ამასთან აფხაზეთი და წარმოემართნენ დადიანსა ზედა. განუდგნენ დადიანსა სამფლობელო თავისი, აფხაზეთნი, სამურზაყანოდ წოდებული და მიერთვენ მათ ხსენებულთა შარვაშიძეთა (ნიკო დადიანი, ქართველთ ცხოვრება, თბ.-1962.გვ.180).

ზურაბ შარვაშიძე ნიკო დადიანისავე ცნობით ფლობდა ზუფუს, ხოლო მისი ძმისწული ქელეშ შარვაშიძე „აყუსა და მიმდგამსა მისსა" ანუ ცხუმსა და მის შემოგარენს (იქვე გვ. 184) რაც შეეხება ბექირბეგ შარვაშიძეს ის აბჟუას ბატონი იყო. აფხაზთა მეოთხე თავკაცი ლევან შარვაშიძე კი მისივე ძმის წულის როსტომ შარვაშიძის ცნობით სამურზაყანოს განმგებელი იყო **(საქართველოს ცენ. ხისტ. არქივი ფ.4.ანაწ.2.საქ.284 ფურც. 173).**

---

გაგრძელება მომდევნო ნომერში.

# «ჩვენი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა...»

დასასრული

დიდი ხანია ემზადებოდნენ გამოყოფისათვის. ამის დასტურია ისიც რომ დაამოკლეს თავისი სახელწოდება — აფხაზეთის რესპუბლიკა დაირქვეს. შექმნეს დროშა, გერბი, პიკეტები მოაწყვეს საზღვრებზე. ყველაზე მთავარი ისაა, რომ თავისი დამქაშების, რუსი იმპერიალისტების შემწეობით, გამალებული იარაღდებოდნენ. ცხადია ჩვენთან საბრძოლველად.

სხვა თემაა ის, რომ ჩვენ, ქართველები ბედოვლათობას ვიჩენდით — იქაურ ქართველებს უაღრესად გვაშფოთებდა ის, რომ ჩვენი ტელევიზია, ჩვენს საბრძოლო საიდუმლოებებს გულახდილად, მიამიტად უმხელდა მტერს. ყურს გვჭრიდა ბევრი უადგილო განცხადებიც, მათ შორის ეს — ახალ წელს ბიჭვინთაში ვიზეიმებთო. თუმცა, შეიძლება ამ განცხადებებმა საომარ მოქმედებებზე არც იმოქმედა, რადგან ფაქტიურად რუსეთი გვებრძოდა, მაგრამ ქართულ სიდარბაისლეს ასეთი განცხადებები არ შეეფერებოდა.

ჩვენი საუბარი ქალბატონ ლამარასთან ამით დამთავრდა, მაგრამ არ დამთავრებულა ლტოლვილთა ყოველდღიური საფიქრალ-საზრუნავი, დარდი და ვარამი. ის რომ ბევრი მათგანი თავის სამშობლოში ბედის ანაბარადაა მიტოვებული. თუმცა მათი ძირითადი ფიქრი მაინც თავიანთ სახლ-კარს, მიტოვებულ ნათესავებს, ნაცნობ-მეგობრებს დატრიალებს. ალბათ ამაზეა ნათქვამი „დარდი მომეცი დარდს დაგავიწყებსო“.

ზემოთ მტრობისა და სიკეთის, კაცობრიობის ამ მარადიული თანამგზავრის, პრობლემას შევეხეთ. ვთქვათ, რომ სიკეთე გაიმარჯვებს. ამასვე გვასწავლის მსოფლიოს ისტორია. ლტოლვილთა უმეტესობასაც სწორედ ეს იმედი ასულდგმულებს.

ღმერთმა ნუ მოუშალოთ ეს იმედი.

ესაუბრა
ნათია ბერიშვილი

## მილოცვა

საქართველოს სახალხო ფრონტი და გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია ულოცავენ საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარის მოადგილეს, ღვაწლმოსილ მეცნიერს ბატონ **შოთა ნადირაშვილს** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევას და უსურვებენ მას ხანგრძლივ შემოქმედებით და საზოგადოებრივ საქმიანობას სამშობლოს საკეთილდღეოდ.

# საბაზრო ეკონომიკა და განათლების სისტემა

დასასრული

სასწავლებელთა მყიდველების დიდი უმრავლესობის მიზანი. ამიტომ სასწავლებლები ყიდიან არა ცოდნას, არამედ დიპლომს. მათ ცოდნა რომც გაუყიდონ მყიდველთა უდიდესი ნაწილი არ იყიდის მას იმ უბრალო ჭეშმარიტებიდან გამომდინარე; მათ ცოდნა არ სჭირდებათ, მათ დიპლომი სჭირდებათ და მასში იხდიან ფულს. სასწავლებლები კი ნებით თუ უნებლიეთ უმრავლეს შემთხვევაში გადაიქცნენ „დიპლომის გასაყიდ მაღაზიებად“. სწორედ ეს არის მიზეზი როგორც ფასიან, ისე უფასო სასწავლებლებში სწავლების ხარისხის მკვეთრი დაცემისა.

რადგან საქართველოში დიპლომის მსურველ ახალგაზრდათა რიცხვი ძალზე დიდია, ამიტომ სოკოებივით მომრავლდა ფასიანი უმაღლესი თუ ტექნიკური სასწავლებლები, რომლებიც „კარგ ბიზნესს“ ეწევიან და ხარფიანად ყიდიან დიპლომებს (რასაკვირველია, ეს არ ეხება სასწავლებელთა იმ მცირერიცხოვან ჯგუფს, რომლებიც ჭეშმარიტად ემსახურებიან ახალგაზრდების განათლების წმინდათაწმინდა საქმეს).

არ მინდა ვინმემ ისე გამიგოს, თითქოს ფასიანი სწავლების წინააღმდეგი ვიყო. ფასიანი სწავლების სისტემა დასავლეთის ცივილიზებულ ქვეყნებში ჩამოყალიბდა და ეს უკანასკნელი ამზადებს ყველაზე მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს, მაგრამ აღნიშნულ ქვეყნებში არსებული მდგომარეობა დიამეტრალურად განსხვავდება საქართველოში არსებული მდგომარეობისაგან.

კაპიტალისტური წარმოების წესის და საბაზრო ეკონომიკის პირობებში მესაკუთრე და მეწარმე, გასაგები მიზეზების გამო, მუშაკთა სამსახურში მიღებისა და დაწინაურებისას, ასევე შრომის ანაზღაურების დონის განსაზღვრისას უპირატესობას ანიჭებს კვალიფიკაციას და ცოდნას. ამიტომ, აღნიშნულ ქვეყნებში, ადამიანები სასწავლებლებში მიდიან ცოდნის მისაღებად. მათთვის დიპლომი არ არის განმსაზღვრელი, რადგან არასაკმარისი ცოდნისა და კვალიფიკაციის შემთხვევაში ისინი აღმოჩნდებიან ქუჩაში და შეავსებენ უმუშევართა რიგებს. სწორედ ამიტომ აბიტურიენტები არჩევენ პრაქტიკულ სასწავლებლებს. ეს ის სასწავლებლებია, რომლებიც იძლევიან მაქსიმალურ ცოდნას. ყველა სასწავლებელი ცდილობს მოიპოვოს პრესტიჟული სახელი და ამიტომ ცდილობს აამაღლოს სწავლის ხარისხი, მოიწვიოს წამყვანი პროფესორ-მასწავლებლები და გაატაროს სხვა ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ამაღლებს ამ სასწავლებლის გამოშვებული სპეციალის[...] კვალიფიკაციას და, მაშასადამ[...] კუთარ პრესტიჟს.

აღწერილ შემთხვევაში [...] ფასიანი სასწავლებლები უპირ[...] სობით სარგებლობენ, რადგან [...] ლმწიფო სასწავლებლებთან შ[...] რებით მათ უკეთესი პირობებ[...] მაღალკვალიფიციური სპეცია[...] ტების მომზადებისათვის.

ზემოთ მოყვანილი მსჯელ[...] გათვალისწინებით, სანამ საქარ[...] ლოში შენარჩუნებულია მეურ[...] ბრიობის ძველი სისტემა, სანამ [...] ნადოდ არ დაფასდება ცოდნა, [...] ეკონომიკური სისტემა არ გამ[...] ვნის არაკვალიფიციურ კადრე[...] ადამიანები სამუშაო ადგილებ[...] დაინიშნებიან განათლებისა და [...] ლიფიკაციის მიხედვით, სანამ [...] ველ ჭაბუკთა და გოგონათა [...] უმრავლესობა სასწავლებელშ[...] ვა დიპლომის და არა ცოდნის [...] ლებად, მანამ ვერ ამაღლდება [...] ლების ხარისხი საქართველოს[...] გორც ფასიან, ასევე სახელმ[...] სასწავლებლებში და არ გვეყო[...] მაღალკვალიფიციური სპეცია[...] ტები, ის სპეციალისტები, ვინ[...] და ააშენოს ხვალინდელი საქარ[...] ლო.

ფრიდ[...]
ასლანიკაშვი[...]







* ნომერში გამოქვეყნებული კარიკატურების ავტორია მურთაზ აბაშიძე


მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

სარედაქციო საბჭო
თენგიზ გოგოტიშვილი
ვახტანგ კომახიძე
ფელიქს კოჭიაშვილი
მერაბ მაისურაძე
სერგო ჯანაშია



რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

ტელ:
რედაქტორი: 93-20-36,
მოადგილე: 93-18-41.
პასუხისმგებელი მდივანი: 93-19-99

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გაზეთის
ინდექსი 66447

ფასი
30 კაპ[...]